პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი | კვირა, 21 დეკემბერი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

№ 294 (11298)

## საბჭოთა ანტარქტიკული ექსპედიციის ავიარაზმის მეთაურს

პოლარულ მფრინავს ამხ. ვ. მ. პეროვს, ეკიპაჟის წევრებს ამხანაგებს ვ. ვ. აფონინს, ბ. ს. ბროდკინს, ვ. მ. ხერზეევს, ე. ნ. მენშიკოვს, ნ. გ. ზორინს, ვ. მ. მაკუშოკს.

საბჭოთა მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით მოგილოცავთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, რომ წარმატებით შეასრულეთ მთავრობის დავალება ბელგიელ პოლარულ მკვლევართა გადასარჩენად, რომლებმაც ავარია განიცადეს ანტარქტიკაში. თქვენს თავდადებულ მუშაობას გულმოდგინედ ადევნებდა თვალყურს მთელი საბჭოთა ხალხი და მთელი პროგრესული კაცობრიობა. თქვენმა გმირულმა მოქმედებამ გამოავლინა მაღალი თვისებები, რომლებიც ახასიათებენ საბჭოთა ხალხს და ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებას ... ხალხთა მეგობრობის გულისათვის.

თქვენს გმირობას მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა ხალხმა. გილოცავთ მთავრობის ჯილდოს და გისურვებთ ჯანმრთელობასა და წარმატებას თქვენს რთულ და კეთილშობილურ მუშაობაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ხრუშჩოვი.**

1958 წლის 18 დეკემბერი.

# სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა

## შინაარსი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საგოლოო სიტყვისა

### საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1958 წლის 19 დეკემბერს

პლენუმზე გამოსულმა ცენტრალური კომიტეტის წევრებმა, ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატებმა, ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრებმა, აგრეთვე ამხანაგებმა, რომლებიც მოწვეული არიან პლენუმზე, თქვა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა, გამოთქვეს, რომ სრულიად ეთანხმებიან რეზოლუციის პროექტსა და დებულებებს, რომლებიც წამოყენებულია მოხსენებაში. ეს მოწმობს ერთსულოვნებას სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე პარტიის მუშაობის შედეგების შეფასებაში და მომავალი პერიოდის ახალი ამოცანების განსაზღვრაში.

ხოლო ამოცანები, რომლებიც ახლა ჩვენი ქვეყნის წინაშე დგანან სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის დარგში, ნამდვილად გრანდიოზულია. ამას ერთხელ კიდევ უნდა გაესვას ხაზი. მე მგონია, რომ ჯერ კიდევ ყველას სავსებით როდი შეუგნია, თუ რაოდენ დიდი და ამასთან ერთად რთულია ის სამუშაო, რომელიც კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უნდა შეასრულონ მომავალ შვიდწლედში.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გამოთქმული იყო ბევრი განსაკუთრებით საინტერესო აზრი და წინადადება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ, ჩვენი რეზერვებისა და შესაძლებლობათა გამოყენების შესახებ. ჩვენ ვთათბირობდით ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში იმაზე, რომ უახლოესი დღეების განმავლობაში გამოქვეყნდეს ამ პლენუმის სრული სტენოგრაფიული ანგარიში, რაც დახმარებას გაუწევს პარტიულ, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის აქტივს პარტიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის მუშაობაში.

ახლა, ამხანაგებო, საჭიროა განსაკუთრებული აღმავლობით, აღფრთოვანებით შევუდგეთ ამ მეტად პასუხსაგები საქმის გადაჭრას. რა თქმა უნდა, პლენუმის შემდეგ, როგორც ჩვეულებრივ, ალბათ გაიმართება პარტიული ორგანიზაციების აქტივები, კრებები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და განხორციელდება სხვა ღონისძიებანი. მაგრამ ამ ეტაპზე ეს ცოტაა. თუ ჩვენ დავჯერდით სხვადასხვა თათბირსა და რეზოლუციების მიღებას და საერთო მოწოდებებს, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ მუშაობა მინებებულია თვითდინებაზე. მეტად დიდმნიშვნელოვანია, რომ უწინარეს ყოვლისა, ჩვენმა ხელმძღვანელმა კადრებმა ღრმად გაიგონ, შეიგნონ, თუ რისი გაკეთება შეიძლება თვითეულ ოლქში, თვითეულ რაიონში, თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში იმ დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია შვიდწლედის საკონტროლო ციფრებით და რომლებმაც გამოხატულება ჰპოვეს ჩვენი პლენუმის გადაწყვეტილებებსა და მოხსენებაში.

მაშასადამე, საქმე ეხება უდიდეს ორგანიზატორულ მუშაობას კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ბრიგადების, ფერმების შესაძლებლობათა მიზანსწრაფულ კონკრეტულ შესწავლას, რათა ადამიანებმა იცოდნენ არა მარტო საერთო ციფრები, არამედ გაიგონ, თუ რა უნდა გაკეთდეს კონკრეტულ მეურნეობაში, რა ვადებში, რა შესაძლებლობანი გამოიყენონ. უნდა დავეხმაროთ საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრაში, ვნახოთ, რისი უნარი აქვთ კადრებს ამ თუ იმ მეურნეობაში. საუკეთესო ორგანიზატორებს მხარი დავუჭიროთ, დავაწინაუროთ, ხოლო ჩამორჩენილი უბნები განვამტკიცოთ.

თუ ყოველივე ეს არ გავაკეთეთ, მაშინ შეიძლება მოხდეს, რომ გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ, როცა შედეგებს შევაჯამებთ, აღმოჩნდებიან ოლქები, რომლებიც წინ არ წასულან.

საქმე უწინარეს ყოვლისა კადრებია, აღნიშნავს ამხ. ხრუშჩოვი, მათი უნარი დარაზმონ და გაიყოლიონ კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები. თვითდინება ყველაზე საშინელი მტერია, ამხანაგებო. მთელ ჩვენს კადრებს შეუძლიათ თუ არა უზრუნველყონ ახალი დიდი ამოცანების შესრულება? რა თქმა უნდა, ხელმძღვანელთა მასის უმეტესობას შეუძლია უნარიანად მოაწყოს და წაიყვანოს საქმე. მაგრამ გვხვდებიან ისეთი მუშაკებიც, რომელთაც არ ძალუძთ დიდი მოთხოვნების შესრულება, რომლებსაც ახლა უყენებენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებსა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა ხელმძღვანელებს. ამიტომ ზოგიერთ უბანზე, როგორც ჩანს, საჭირო იქნება კადრების განაწილების გადასინჯვა. მისი არ უნდა შეგვეშინდეს. ჩვენი ადამიანები გაიზარდნენ და თუ არიან ისეთი მუშაკები, რომლებიც მოძველდნენ, ისინი უნდა განვაახლოთ. ახალგაზრდა ნიჭიერი ადამიანი ბევრია. ისინი ელოდებიან თავიანთი ძალებისა და ცოდნის უკეთეს გამოყენებას.

ეს, რა თქმა უნდა, როდი ნიშნავს, რომ უნდა დავადგეთ კადრების მასობრივი შეცვლის გზას. უნდა შევცვალოთ და რაც შეიძლება მალე ისინი, რომლებიც საქმის ცოდნიერობით, ინიციატივის, ორგანიზატორული ნიჭის უქონლობით აფერხებენ მეურნეობის განვითარებას.

პლენუმის მუშაობა ერთხელ კიდევ და კიდევ გვარწმუნებს, თუ რაოდენ მომწიფდა სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანთა თაოსნობით დაწყებული მოძრაობა იმისათვის, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მხრივ. პარტიამ ყოველთვის უნდა დაუჭიროს მხარი ამ კეთილშობილურ თაოსნობას, განავითაროს იგი, ამ მოძრაობაში ჩააბას მილიონობით მშრომელი. უნდა გვახსოვდეს, რომ მოგველის ძნელი, დიდი მუშაობა.

როგორც მოხსენებაში უკვე ნათქვამი იყო, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ უკვე ვუახლოვდებით ამერიკის შეერთებული შტატების დონეს. იმისათვის, რომ დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის წარმოების მხრივ, ჩვენ უნდა გვქონდეს 20-21 მილიონი ტონა ხორცი წელიწადში, ანუ 42 ცენტნერი ას ჰექტარ მიწის სავარგულებზე დაკლული პირუტყვის წონით. ორმოცდაორი ცენტნერი! ეს, ამხანაგებო, ბევრიც არის და ცოტაც. რა თქმა უნდა, ხორცის წარმოების გადიდება ასეთ ოდენობამდე ჩვენი ქვეყნის მასშტაბით ძნელი საქმეა. მაგრამ თუ ავიღებთ კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ანდრეევს, რომელიც აქ გამოვიდა, მისთვის 42 ცენტნერი დიდი ხნის განვლილი ზღვარია. წელიწადნახევრის წინ კოლმეურნეობა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, გამოვიდა ას ჰექტარ მიწაზე 100 ცენტნერი ხორცის მიღებისათვის შეჯიბრების ინიციატორად. და ეს ვალდებულება კოლმეურნეობამ წარმატებით შეასრულა. ახლა კი რა ციფრი დაასახელა ამხ. ანდრეევმა? მან განაცხადა, რომ კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს 1965 წელს 250 ცენტნერი ხორცი აწარმოონ ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე. ეს ხომ ტამბოვშჩინაა, ამხანაგებო, და 250 ცენტნერი! ხოლო მთლიანად ტამბოვის ოლქში რამდენი ხორცია მიღებული წელს 100 ჰექტარზე გაანგარიშებით?

**ხმები:** 23 ცენტნერი.

აი ხომ ხედავთ, რა განსხვავებაა! რით აიხსნება ეს? რა თქმა უნდა, არა ბუნებრივ-კლიმატური პირობებით, რადგან კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობა იმავე ოლქშია.

მთავარია კადრები, ორგანიზატორები და ორგანიზატორული მუშაობა. გაგზავნეთ ამხანაგი ანდრეევი სხვა კოლმეურნეობაში, მეტად ჩამორჩენილშიც კი, და იგი 2-3 წლის შემდეგ უზრუნველყოფს 100-150 ცენტნერის, ხოლო შესაძლოა მეტის წარმოებასაც.

ან აიღეთ ამხ. გრაჩოვი, სოფელ კალინოვკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ჩემი თანასოფლელი. 1953 წელს კოლმეურნეობას ჰქონდა 8,5 ცენტნერი ხორცი 100 ჰექტარზე, ხოლო 1958 წელს — 120 ცენტნერი.

აქ გამოვიდა პარტიის რაიკომის მდივანი ამხ. კოლესნიკოვი, რომელმაც ილაპარაკა წარმატებებზე კანევსკის რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

ჩვენ ყველამ ინტერესით მოვისმინეთ ამხ. კოროტკოვის — ჩუვაშეთის რესპუბლიკიდან ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის გამოსვლა. ეს გამოცდილი ხელმძღვანელია. მისი კოლმეურნეობა წარმოადგენს ერთგვარ მაგალითს მაღალ დონეზე წარმოების ორგანიზაციაში. ამხ. კოროტკოვი რწმენით ლაპარაკობს 100 ჰექტარ მიწაზე 200 ცენტნერი ხორცის მიღების შესახებ.

აი მეც მსურს ვთქვა, რომ წარმოების დონე პირველ რიგში დამოკიდებულია კადრებზე, ხელმძღვანელებზე.

მაშასადამე, საკითხი ხელმძღვანელობაა. ადამიანები ჩვენთან ყველგან, ყველა კოლმეურნეობაში კარგი არიან, საჭიროა ამ ადამიანებს სწორად მივუდგეთ, უნარიანად დავრაზმოთ ისინი. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს თავის ამოცანად მარტო და იმდენად ის კი არ უნდა მიაჩნდეს, რომ უჩიჩინოს ადამიანებს. იგი უნარიანად უნდა გაერკვიოს ადამიანებში, მეურნეობაში, გონივრულად გაუძღვეს საქმეს, შემოიკრიბოს გარშემო კოლმეურნეები.

როგორი უნდა იყოს დაახლოებით რესპუბლიკებისა და ოლქების წვლილი იმისათვის, რომ დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ხორცის წარმოების მხრივ? სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალისტთა გაანგარიშებით რუსეთის ფედერაციამ ხორცი დაკლული პირუტყვის წონით უნდა აწარმოოს საშუალოდ 54 ცენტნერი ას ჰექტარ მიწაზე, ხოლო 1958 წელს მას აქვს 17 ცენტნერი. კრასნოდარის მხარეს უნდა ექნეს დაახლოებით 148 ცენტნერი ას ჰექტარზე, ხოლო აქვს 46 ცენტნერი, ვორონეჟის ოლქს — 103 ცენტნერი, აქვს 28 ცენტნერი, როსტოვის ოლქს — 50, აქვს 16, სარატოვის ოლქს — 37, აქვს 10, ალტაის მხარეს — 31, აქვს 10 ცენტნერი. ხოლო აი დაახლოებით როგორია გაანგარიშება სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში: უკრაინას უნდა ექნეს 101 ცენტნერი, აქვს 49, მოლდავეთს — 103 ცენტნერი, აქვს 42, ბელორუსიას — 89 ცენტნერი, აქვს 41, ლიტვას — 75 ცენტნერი, აქვს 46, ლატვიას — 80 ცენტნერი, აქვს 44, ესტონეთს — 81 ცენტნერი, აქვს 40, ყაზახეთის სსრ — 9 ცენტნერი, აქვს 3 ცენტნერი, ყირგიზეთს — 26 ცენტნერი, აქვს 8, საქართველოს — 64 ცენტნერი, აქვს 31, სომხეთს — 53 ცენტნერი, აქვს 26, აზერბაიჯანს — 40 ცენტნერი, აქვს 17, უზბეკეთს — 11, აქვს 6, ტაჯიკეთს — 22, ახლა 10, თურქმენეთს — 2,6 ცენტნერი, ახლა 1 ცენტნერი.

როგორც ჩანს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რაიონებში მუშაობის შემდეგ რესპუბლიკებისა და ოლქების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები დააზუსტებენ ამ ციფრებს. ჩვენთვის დიდად მნიშვნელოვანია, რომ წინასწარი მონახაზები არ განაწილდეს არითმეტიკული გზით, არამედ თვითეული მეურნეობის შესაძლებლობისა და განსაკუთრებული თვისებების ყოველმხრივი გათვალისწინების საფუძველზე.

ხორცისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდება, განაგრძობს ამხ. ხრუშჩოვი, უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მტკიცე საკვები ბაზის შექმნაზე. ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთებულია, მაგრამ კიდევ მეტი უნდა გაკეთდეს. თქვენ გახსოვთ, რომ XXI ყრილობაზე მოხსენების თეზისებით გათვალისწინებულია მარცვლეულის წარმოება მეცხოველეობის საჭიროებისათვის გადიდდეს 85-90 მილიონ ტონამდე, ე. ი. 5 მილიარდ ფუთზე მეტი, ან დაახლოებით იმდენივე, რამდენიც ჩვენს ქვეყანაში მოწეული იყო მარცვლეული 1952 წელს. როგორ და რით შეიძლება ასეთი ამოცანის გადაჭრა? ამასთან დაკავშირებით მე მსურს ერთხელ კიდევ ვთქვა, რომ საჭიროა გადიდდეს სიმინდის, როგორც მარცვლეული მეურნეობის უმნიშვნელოვანესი რეზერვის წარმოება.

როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მარცვლეულის მთლიანი მოსავალი გაადიდეს უმთავრესად სიმინდით. ამერიკის შეერთებულ შტატებში სიმინდი ითესება 30 მილიონი ჰექტარი. სსრ კავშირში სიმინდი ხმელ მარცვლად მიმდინარე წელს აღებულია მხოლოდ 4,4 მილიონი ჰექტარი. სიმინდის პროცენტმა მარცვლეულ კულტურებს შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში შეადგინა 32, ხოლო სსრ კავშირში — 3,5 პროცენტი. მარცვლეულის საერთო მოსავალში სიმინდი ამერიკის შეერთებულ შტატებში შეადგენს 46 პროცენტს, ჩვენში კი — 7 პროცენტს. ჩაუფიქრდით ამ ციფრებს: 32 პროცენტი უკავია სიმინდს ნათეს მარცვლეულებში და იძლევა ამერიკის შეერთებულ შტატებში მარცვლეულის საერთო მთლიანი მოსავლის 46 პროცენტს.

ხორბლის პროცენტი მარცვლეულთა ნათესებში: ამერიკის შეერთებულ შტატებში — 27, ჩვენში კი — 53. სიმინდის მარცვლეულის მოსავალი ჰექტარზე ამერიკის შეერთებულ შტატებში — 31, ჩვენში კი — 22 ცენტნერი.

რა თქმა უნდა, ჩვენში ყველგან როდი შეიძლება სიმინდის მარცვლად მოყვანა, მაგრამ იმ რაიონებში, სადაც სიმინდი კარგ მოსავალს იძლევა, მისი ხვედრი წონა უმნიშვნელოა.

დახედეთ რა სარგებლობა აქვს სიმინდს, განაგრძობს ამხ. ხრუშჩოვი. ჰექტარზე რომ 500 ცენტნერი ჩალა და ტარო მივიღოთ, ეს უდრის 10 ათას საკვებ ერთეულს, ანუ 100 ცენტნერ მარცვლეულს ჰექტარზე. განა შეიძლება ასი ცენტნერი მარცვლეულის მიღება ჰექტარზე სხვა რომელიმე კულტურისაგან? ყოველ ადამიანს ესმის, რომ ახლანდელ პირობებში ეს შეუძლებელი საქმეა. თუ უფრო ნაკლებ მოსავალს ავიღებთ — 300 ცენტნერ სიმინდის ტაროსა და ჩალას ჰექტარზე, ეს მოსავალიც შეედრება 6 ათას საკვებ ერთეულს, ანუ 60 ცენტნერ მარცვლეულს. სიმინდის ასეთი მოსავლის მიღება ძნელი არ არის, ხოლო სცადეთ სხვა კულტურის 60 ცენტნერი მარცვლის მოყვანა.

მაშასადამე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: იმისათვის, რომ გადავწყვიტოთ ხორცის წარმოების სწრაფი გადიდების პრობლემა, უნდა დავთანხმდეთ სიმინდის ნათესების მკვეთრ გადიდებაზე, შევცვალოთ შეხედულება სიმინდის მარცვალზე. ჩვენში ბევრ ამხანაგს, როცა საქმე ეხება სიმინდის მარცვალს, მხედველობაში აქვს მხოლოდ სიმინდის მოყვანა ხმელ მარცვლად და ამასთან იმას იმოწმებენ, რომ ბუნებრივ-კლიმატური პირობები ზღუდავენ სიმინდის მოყვანის შესაძლებლობას. ეს მოძველებული ცნებაა.

მართალია, სიმინდი ხმელ მარცვალს სრულიადაც არ იძლევა ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონში. მაგრამ იგი ჩვენ გვესაჭიროება უწინარეს ყოვლისა სილოსის მისაღებად ჩალისა და რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის ტაროებისაგან. ხოლო სასილოსედ სიმინდი მწიფდება ლატვიაშიც, ჩუვაშეთშიც, ციმბირის რაიონებშიც. მაშასადამე, ჩვენში ჩვენი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შეიძლება მოვიყვანოთ სიმინდი. იქ, სადაც ჭვავი მწიფდება, იქ, როგორც წესი, სიმინდიც მოდის რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფემდე. ხოლო რას ნიშნავს რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის სიმინდის ტარო სილოსში? ეს იგივე მარცვალია, მხოლოდ დაკონსერვებული განსაზღვრულ სტადიაზე.

აი ამხანაგებო, როგორია ჩვენი შესაძლებლობანი სიმინდის მოსაყვანად, ხოლო მაშასადამე, ხორცისა და რძის წარმოებისათვის. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ახლა უნდა დავადგეთ სიმინდის ნათესების ავტომატური გაფართოების და მარცვლეული კულტურების, კერძოდ ხორბლის შემცირების გზას.

ხორბალი, აღნიშნავს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, სახელმწიფოს ესაჭიროება, და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავუშვათ მისი მთლიანი წარმოების შემცირება. ამიტომ ნათესი ფართობების სტრუქტურის შეცვლა ოლქებში, მხარეებსა და მოკავშირე რესპუბლიკებში უნდა წარმოებდეს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით ისე, რომ მოეწყოს ჩვენი ქვეყნის ცალკეულ ზონებში მარცვლეული კულტურების წარმოების უფრო მიზანშეწონილი გადაადგილება.

აქ გამოვიდნენ ამხანაგები მანუკოვსკი და გიტალოვი, განაგრძობს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი. როცა მათ უსმენ, გრძნობ, რომ ძალები გემატება, ფრთები გეზრდება. რატომ? იმიტომ, რომ მათი გამოცდილება სახავს შრომის ნაყოფიერების ამაღლების დიდ შესაძლებლობას. ერთხელ ჩემთან საუბარში ამერიკელმა ფერმერმა ბ-ნმა ჰარსტმა თქვა: გამოგზავნეთ ჩემს ფერმაში თქვენი ადამიანები, დაე გაიცნონ იგი, წაიმუშაონ, რათა ისწავლონ, თუ ერთ ადამიანს როგორ შეუძლია სიმინდის მოყვანა 100 ჰექტარ ფართობზე.

ამხანაგი გიტალოვი იყო იქ სამუშაოდ და ბ-ნ ჰარსტისაგან ბევრი რამ სასარგებლო გადმოიღო. ჩვენ მისი მადლობელი ვართ. ჩვენ, კომუნისტებს, მუდამ იმას გვისაყვედურებენ, რომ მხოლოდ ვაკრიტიკებთ კაპიტალისტებს. ხოლო აი ახლა, როგორც ხედავთ, მადლობას ვუცხადებთ კაპიტალისტ ფერმერს სასარგებლო საქმისათვის.

ახლა ამხანაგები გიტალოვი და მანუკოვსკი ისე მუშაობენ, რომ მათთან საჭიროა მისვლა გამოცდილებისათვის. თუ ჩვენ ვასწავლით ადამიანებს იმუშაონ ისე, როგორც მუშაობს ამხ. მანუკოვსკი თავის მეწყვილეებთან ერთად და როგორც მუშაობენ ამხ. გიტალოვი და სხვები, ჩვენ მალე გადავჭრით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდების ამოცანას.

ნათესი ფართობების უფრო სწორი სტრუქტურის შედეგად კრასნოდარის მხარეში, მაგალითად, შეიძლება ერთიორად გავადიდოთ მარცვლეულის რაოდენობა სიმინდით. კრასნოდარის მხარეს შეუძლია ნამდვილად გახდეს ღორის ხორცის, ძროხის ხორცისა და ფრინველის ხორცის წარმოების ფაბრიკა. უკრაინას ასეთივე შესაძლებლობა აქვს. როსტოვის ოლქს, სტავროპოლის მხარესა და ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიურ რესპუბლიკებს აგრეთვე აქვთ სიმინდის წარმოების გადიდების მშვენიერი პირობები.

საჭიროა ალტაის მხარეში, ყაზახეთში აგრეთვე ვასწავლოთ ადამიანებს სიმინდის მოყვანა ხელის შრომის დაუხარჯავად. იქ არიან კარგი კადრები, არის ტექნიკა და საქმე კარგად წავა. ჩვენ პირველ წლებში არ დაგვისახავს ამოცანა დიდი მასშტაბით მოგვეყვანა სიმინდი ყამირზე, რადგან იქ არ კმაროდა ადამიანები, ხოლო მანქანები სიმინდის მოსაყვანად არ იყო, და შემდეგშიც ყამირ რაიონებში უპირატესად მოვიყვანთ ხორბალს. მაგრამ ამასთან ერთად ახლა არის შესაძლებლობა მოვიყვანოთ იქ სიმინდიც. თუ მუშაობას მოვაწყობთ ამხანაგების მანუკოვსკისა და გიტალოვის გამოცდილების მიხედვით, ტრაქტორისტები თვითონ დათესენ, დაამუშავებენ და აიღებენ სიმინდს სასილოსედ, ჩადებენ სილოსს შესანახავად, ხოლო ზამთარში იგივე ადამიანები, რომლებიც თავისუფალი იქნებიან მინდვრის სამუშაოებისაგან, იმუშავებენ პირუტყვის გასუქებაზე. ყამირ მიწებზე საჭიროა პირუტყვის გასუქება უწინარეს ყოვლისა ვაწარმოოთ სახორცედ, მოვაწყოთ ხორცის განხრის მეცხოველეობა.

მეცხოველეობის განვითარება და ხორცის წარმოების გადიდება ყამირი მიწების რაიონებში ახალი ეტაპია, ახალი პროცესია ყამირ მიწებზე. ახლა ამისი პირობები მომწიფდა.

**ხმები:** სწორია.

ამხანაგებო! კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავე ადამიანებმა გააჩაღეს შეჯიბრება იმისათვის, რომ დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მხრივ. რძისა და კარაქის წარმოების მხრივ ამ ამოცანის გადაჭრა უზრუნველყოფილ იქნება უახლოეს დროში. ხორცის წარმოების ამოცანის შესრულება უფრო რთული და უფრო ძნელი საკითხია. ამიტომ იმისათვის, რომ გამარჯვება მოვიპოვოთ შეჯიბრებაში ამ უბანზეც, ჩვენ კარგად უნდა მოვემზადოთ. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი ამ მომზადებას ხატოვნად ადარებს ცხენოსნის მომზადებას პასუხსაგები შეჯიბრებისათვის, აღნიშნავს რა რომ ამ შემთხვევაში ასეთ „ცხენს" წარმოადგენს სიმინდი.

ჩვენ გვაქვს, ამბობს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, ყველა პირობა შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის: არის სიმინდის კარგი ჯიშები, არის საჭირო მექანიზმები, არიან კადრები, არის გამოცდილება. საჭიროა მხოლოდ, რომ მოწინავე გამოცდილება უფრო ფართოდ ვრცელდებოდეს მთელ ჩვენს ქვეყანაში, რომ კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხეში შეეძლოთ „შეკაზმონ" ისეთი შესანიშნავი „ცხენი", როგორიც სიმინდია. თუ ჩვენ გავიმარჯვეთ ამერიკის შეერთებულ შტატებთან შეჯიბრებაში, — ხოლო ამაში არავითარი ეჭვი არ არის, — ჩვენ უზრუნველვყოფთ ჩვენი ქვეყნისათვის, ჩვენი ხალხისათვის მეცხოველეობის პროდუქტების სრულ სიუხვეს.

სიმინდის წარმოების გადიდებასთან ერთად საჭიროა ყოველი ღონისძიებით გამოვიყენოთ მეცხოველეობის განვითარებისათვის სხვა საკვები კულტურებიც. ახლა კვადრატულ-ბუდობრივი წესი შესაძლებლობას ქმნის მოვახდინოთ შაქრის ჭარხლის დამუშავების მექანიზაცია. ამ ძვირფასი კულტურის მოყვანა ნაკლებ შრომატევადი გახდა, ვიდრე წინათ იყო. თავისი საკვები ღირსებით შაქრის ჭარხალი აღემატება სიმინდსაც კი, თუმცა შრომის რამდენადმე მეტ ხარჯს მოითხოვს. საჭიროა ვურჩიოთ შაქრის ჭარხალი აწარმოონ არა მარტო შაქრის მისაღებად, არამედ აგრეთვე მეცხოველეობის საჭიროებისათვის. სიმინდი, შაქრის ჭარხალი და კარტოფილი — ეს სამი უმნიშვნელოვანესი კულტურაა, რომლებიც საჭიროა მეცხოველეობის აღმავლობისათვის.

შემდეგ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობს, რომ საჭიროა დატენიანებული ზონის რაიონებში უარი ვთქვათ ეგრეთწოდებულ „სუფთა ანეულებზე", რაც უდიდესი წყარო იქნება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გასადიდებლად.

მსურს მოკლედ ვილაპარაკო მშენებლობაზე სოფელ რაიონებში. პლენუმზე გამოვიდნენ არქიტექტორები და ინჟინრები. ისინი ლაპარაკობდნენ რეალურ საგნებზე. უმრავლესობა იმისა, რასაც ისინი გვთავაზობდნენ, უკვე ხორციელდება მშენებლობაში. ახლა უნდა დავადგეთ კასეტური წესის უფრო ფართო გამოყენების გზას. იგი საინტერესოა იმით, რომ ხელმისაწვდომია ყველგან და ადვილია სახლების დეტალების დამზადება. მე მგონია, ამხ. ლეონტიევისა და ამხ. როზენფელდის კარკასული სახლები კარგია და უნდა მოვაწყოთ მათი წარმოება.

ჩვენი რეზერვები მშენებლობის საქმეში ჭეშმარიტად აურაცხელია. ყოველ რაიონში არის შესანიშნავი ადგილობრივი საშენი მასალები. საჭიროა, რომ სამინისტროებმა და სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, ჩვენმა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა სათანადოდ მოჰკიდონ ხელი ამ საქმეს.

პლენუმზე იყო როსტოვის სოფლის მეურნეობის მანქანების საშენებელი ქარხნის მთავარი კონსტრუქტორის ამხ. სტროკოვის საინტერესო გამოსვლა. სამწუხაროდ, მე არ მომისმენია სარატოველი ინჟინრის ამხ. კონონენკოს გამოსვლა. ისინი ორივე თვითმავალ კომბაინებად მისაბმელი კომბაინების გადაკეთების ინიციატორები არიან. ყურადღების ღირსია წინადადება უნივერსალური საწევრის შექმნის შესახებ, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოში. მაგრამ თუ ეს საწევარი იმუშავებს საათში 22 კილომეტრი სიჩქარით, ის, რა თქმა უნდა, არ შეეფერება სატრანსპორტო პირობებს, საჭიროა იქნეს 40 კილომეტრი სიჩქარე. ამაზე უნდა დაფიქრდნენ ჩვენი კონსტრუქტორები.

საბჭოთა მეურნეობების შესახებ. ნაკლოვანება ახალ საბჭოთა მეურნეობებში, რომლებიც შექმნილია ყამირზე, ჯერ კიდევ ცოტა როდია. აქ გამოსულნი ლაპარაკობდნენ ამაზე და ლაპარაკობდნენ სწორად. საჭიროა, ამხანაგებო, ვაშენოთ საცხოვრებელი სახლები საბჭოთა მეურნეობების მუშებისათვის. ეს ამოცანა უნდა გადაიჭრას რადაც უნდა დაგვიჯდეს. საჭიროა აგრეთვე მოწესრიგდეს ხელფასი, რომ იგი ნამდვილად შეესაბამებოდეს შრომის ხარჯვას და მუშაობის მოცულობას. ადამიანებს ექნებათ მეტი დაინტერესება მუშაობით, გადიდდება მათი შემოქმედებითი აქტივობა.

ახალ საბჭოთა მეურნეობებში გადაუდებელი საქმეა მარცვლეულისათვის საველე საწყობების მშენებლობა. შეიძლება საჭირო იყოს ეს საწყობები ვაკეთოთ რკინის ან ლითონის, აქედან რაღაც რაოდენობა მოძრავი საწყობები.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

## ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საგოლოო სიტყვის დასასრული

ამხანაგებო, ჩვენს ქვეყანაში ძლიერ ბევრია დაჭაობებული მიწები, რომლებიც ამოშრობას მოითხოვენ. ეს მიწები რომ წესრიგში მოვიყვანოთ, საჭიროა სპეციალური ტექნიკა. მე მომხდა გამეცნო სამელიორაციო მანქანები, რომლებიც ბელორუსიაში გამოუშვეს. ამ საქმის ინიციატორია აკადემიკოსი მაცეპურო. ბელორუსების მიერ გაკეთებული მანქანები კარგია. ჩვ ასეთი მანქანების დახმარებით შეიძლება ავითვისოთ დაჭაობებული მიწების უდიდესი ფართობები. მაგრამ სამელიორაციო ტექნიკა ბევრ ლითონს მოითხოვს. ამიტომ, განა არ შეიძლება მოვუწოდოთ შეაგროვონ ლითონის ჯართი, რათა მისი ნაწილი მოხმარდეს სამელიორაციო ტექნიკას? შეიძლება შეგროვდეს მილიონობით ტონა.

ჯართის შეგროვებაში ბევრი რამის გაკეთება შეუძლია კომკავშირს. საჭიროა ახალგაზრდობა დავრაზმოთ ამ დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმისათვის. ჩვენში ლითონის ჯართის მოძებნა ძნელი როდია. იგი ბევრია დაბნეული რკინიგზის ხაზებზე, იგი ცოტა როდი დარჩენილა კიდევ ომისაგან.

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საკითხები კომუნისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი საკითხებია. ხალხს ესმის და მოსწონს პარტიის პოლიტიკა იმიტომ, რომ პარტია ხალხს მიუძღვის ლენინური გზით. უნდა ვამრავლოთ ჩვენი ღონისძიებანი ახალი გამარჯვებებისათვის ბრძოლაში, რათა რაც შეიძლება უმოკლეს ვადებში უზრუნველვყოთ მაღალი მატერიალური და კულტურული დონე ადამიანებისათვის, რომლებიც კომუნიზმს აშენებენ.

რაც უფრო მალე შევქმნით მატერიალური და სულიერი სიკეთის სიუხვეს, მით უფრო გაიზრდება კომუნისტური იდეების გავლენა მთელ მსოფლიოში. წლითიწლობით ვზარდოთ ჩვენი მრეწველობის სიმძლავრეები. გავადიდოთ პურის, ხორცის, კარაქისა და სხვა პროდუქტების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და სხვა საქონლის წარმოება, უფრო მეტი ვაშენოთ ბინები, სკოლები, კულტურული დაწესებულებანი, უფრო მეტი გამოვუშვათ წიგნი და კარგი ფილმი — აი ეს არის სწორედ კომუნიზმის მშენებლობა.

ამხანაგებო! 1959 წელი იქნება კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, დიადი შვიდწლიანი გეგმის შესრულებისათვის ჩვენი ბრძოლის პირველი წელი. ჩვენი პერსპექტივები ძლიერ კარგია. მაშ მოდით ვიხმაროთ მთელი ჩვენი ღონისძიებანი, რათა წარმატებით შესრულდეს კომუნისტური მშენებლობის ამოცანები, რომლებიც დასახულია ჩვენი ქვეყნის წინაშე. **(მქუხარე ტაში).**

## ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ქალაქ პარიზის მუნიციპალიტეტის დელეგაცია

18 დეკემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემლში მიიღო ქალაქ პარიზის მუნიციპალიტეტის დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება მოსკოვისა და ლენინგრადის საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მოწვევით. დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც მეთაურობს მორის კაუზა, შედიან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები: მორის ვეილი, კამილ დენი, ანდრე როგი, ჟაკ ფერონი.

დელეგაციამ ნ. ს. ხრუშჩოვს გადასცა საჩუქარი — სამახსოვრო მედალი, რომელიც გამოშვებულია პარიზის 2.000 წლისთავის გამო.

ნ. ს. ხრუშჩოვს დელეგაციის წევრებთან ჰქონდა საუბარი, რამაც თავისუფალ ვითარებაში ჩაიარა. საუბარს დაესწრო მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ი. ბობროვნიკოვი.

### დ ე პ ე შ ა

**მირნი, 1958 წლის 19 დეკემბერი**

### ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს

მოსკოვი, კრემლი

ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, ჩვენ დიდად გაგვახარა თქვენმა გულთბილმა გულითადმა დეპეშამ იმასთან დაკავშირებით, რომ დავამთავრეთ მუშაობა ანტარქტიკაში ბელგიელ პოლარელ მკვლევართა გადასარჩენად.

დიდ მადლობას ვუძღვნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საბჭოთა მთავრობასა და საბჭოთა ხალხს, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს ჩვენს შრომას. მუდამ მზად ვართ შევასრულოთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს ყოველგვარი დავალება.

**თვითმფრინავის ნ 495 ეკიპაჟი**
**პეროვი, აფონინი, ბროდკინი, სერგეევი, მენშიკოვი, ზორინი, თარჯიმანი მაკუშოკი.**

### ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველოს პოლარული ავიაციის თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრთა დაჯილდოების შესახებ**

ანტარქტიდის ბელგიელ მკვლევართა გადარჩენის დროს მამაცობისა და მაღალი ოსტატობის გამოჩენისათვის **დაჯილდოვდნენ:**

**ლენინის ორდენით**

**პეროვი** ვიქტორ მიხეილის-ძე — თვითმფრინავის მეთაური.

**შრომის წითელი დროშის ორდენით**

1. **აფონინი** ვლადიმერ ვასილის-ძე — მეორე პილოტი
2. **ბროდკინი** ბორის სიმონის-ძე — შტურმანი
3. **ზორინი** ნიკოლოზ გაბრიელის-ძე — ბორტრადისტი
4. **მენშიკოვი** ეროფე ნიკოლოზის-ძე — ბორტმექანიკოსი
5. **სერგეევი** ვიქტორ მიხეილის-ძე — ბორტმექანიკოსი.

**„საპატიო ნიშნის“ ორდენით**

**მაკუშოკი** ვიქტორ მარკელის-ძე — მთარგმნელი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე **კ. ვოროშილოვი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი **მ. გიორგაძე**

მოსკოვი, კრემლი. 1958 წლის 18 დეკემბერი.

## მოსკოვში ზეიმით გაიხსნა ფ. ე. ძერჟინსკის ძეგლი

20 დეკემბერს მოსკოვში, მის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის ფელიქს ედმუნდის-ძე ძერჟინსკის ძეგლი. გახსნის ზეიმს ძერჟინსკის სახელობის მოედანზე დაესწრო დედაქალაქის ათი ათასობით მშრომელი.

... დღის სამი საათია. ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, ლ. ი. ბრეჟნევი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. გ. იგნატოვი, ა. ი. კირიჩენკო, ფ. რ. კოზლოვი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, დ. ს. კოროტჩენკო, ი. ა. კალნბერზინი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ვ. პ. მჟავანაძე, მ. გ. პერვუხინი, ნ. ვ. პოდგორნი.

ტრიბუნაზე არიან აგრეთვე პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის დელეგაცია პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ეჟი ალბრეხტის მეთაურობით, ფ. ე. ძერჟინსკის ქვრივი — ს. ს. ძერჟინსკაია, მისი ვაჟი ი. ფ. ძერჟინსკი.

მიტინგი მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. უსტინოვმა.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს ქარხანა „ბორეცის“ ზეინკალმა ი. მ. შუბინმა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ე. ალბრეხტმა და რუსეთის სფსრ დამსახურებულმა მასწავლებელმა 259-ე სკოლის დირექტორმა ა. ს. ლოგუნოვამ.

ჟღერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. ძეგლს შორდება თეთრი აბრეშუმის საბურველი და შეკრებილთა თვალს წარმოუდგება ფ. ე. ძერჟინსკის ექვსი მეტრი სიმაღლის ბრინჯაოს ფიგურა, რომელიც დადგმულია მაღალ კვარცხლბეკზე. ფელიქს ედმუნდის-ძე გამოსახულია მთელი ტანით გრძელ ფარაჯაში, თავშიშველი. მისი თვალი მიპყრობილია კრემლისაკენ.

ფ. ე. ძერჟინსკის ძეგლი აგებულია სკულპტორ ე. ვ. ვუჩეჩიჩისა და არქიტექტორ გ. ა. ზახაროვის პროექტით.

(საკდესი).

# დიდი მარქსისტი—ლენინელი

### ი. ბ. სტალინის დაბადების 79 წლისთავის გამო

**სამოცდაცხრამეტმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც დაიბადა დიდი მარქსისტი-ლენინელი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი შესანიშნავი ხელმძღვანელი, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, ლენინური წრთობის მგზნებარე რევოლუციონერი, დიდი თეორეტიკოსი — იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.**

ი. ბ. სტალინის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა წარმოადგენს იმის ნათელ მაგალითს, თუ როგორ უნდა უერთგულო გენიალური ლენინის უკვდავ იდეებს, როგორ თანმიმდევრულად და პრინციპულად უნდა იბრძოდე პარტიის, მშრომელთა მასების სასიცოცხლო ინტერესებისათვის, არ უშინდებოდე ამ ბრძოლაში არავითარ სიძნელეს და საფრთხეს.

ჯერ კიდევ ჭაბუკი ჩაება ი. ბ. სტალინი რევოლუციურ მოძრაობაში და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიადი საქმის გამარჯვებისათვის თავგანწირული, გმირული ბრძოლით ჭეშმარიტად დაიმსახურა პროფესიული რევოლუციონერის, უდრეკი ბოლშევიკ-ლენინელის ხაპატიო სახელი.

ი. ბ. სტალინმა რევოლუციური მუშაობა დაიწყო იმ დროს, როცა დიდმა ლენინმა ტიტანური ბრძოლა გააჩაღა რუსეთში პროლეტარიატის რევოლუციურ-მარქსისტული პარტიის შექმნისათვის.

„მაგონდება. — ამბობდა ი. ბ. სტალინი, — 1898 წელი, როცა პირველად ჩავიბარე რკინიგზის სახელოსნოების მუშათა წრე... აქ, ამ ამხანაგების წრეში, მივიღე მე მაშინ ჩემი პირველი საბრძოლო რევოლუციური ნათლობა... ჩემი პირველი მასწავლებლები თბილისის მუშები იყვნენ“.

განიმსჭვალა რა თავისი მოღვაწეობის პირველი ნაბიჯიდანვე ლენინის გენიისადმი უსაზღვრო რწმენით, ი. ბ. სტალინმა ლ. კეცხოველთან, ა. წულუკიძესთან, მ. ცხაკაიასთან, ა. ჯაფარიძესთან, ფ. მახარაძესთან და სხვა რევოლუციონერებთან ერთად დიდი როლი შეასრულა საქართველოსა და ამიერკავკასიაში მტკიცე ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნაში.

1905-1907 წლებში რუსეთის პირველი რევოლუციის წინ და მის ქარიშხლიან დღეებში ი. ბ. სტალინი, რომელიც მ. ცხაკაიასთან, ა. წულუკიძესთან, ს. შაუმიანთან, ა. ჯაფარიძესთან, ფ. მახარაძესთან და სხვებთან ერთად სათავეში ედგა საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, ეწეოდა უდიდეს ორგანიზატორულ და იდეოლოგიურ მუშაობას, შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა მენშევიკების, ანარქისტების, ესერებისა და მარქსიზმის სხვა მტრების წინააღმდეგ. იგი დაუღალავად იცავდა რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირისა და შეიარაღებული აჯანყების შესახებ ვ. ი. ლენინის გენიალურ იდეებს, რაზმავდა და მჭიდროდ აკავშირებდა ამიერკავკასიის მუშებსა და გლეხებს ბოლშევიკური პარტიის გარშემო, მეფის თვითმპყრობელობის, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ, შავბნელი რეაქციის პერიოდში და რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობის წ ლ ე ბ შ ი ი. ბ. სტალინი უდიდეს მუშაობას ეწეოდა თბილისში, ბაქოში, პეტერბურგში და სხვა ქალაქებში. თანმიმდევრულად იბრძოდა რა მენშევიკების, ლიკვიდატორების, „ოტზოვისტების“, ტროცკისტებისა და ყოველი სახის შემარიგებლების წინააღმდეგ, იგი მტკიცედ უჭერდა მხარს ვ. ი. ლენინს მის ბრძოლაში პარტიულობისათვის, არალეგალური ორგანიზაციების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, პარტიის არალეგალური მუშაობის ლეგალურ ორგანიზაციებში მუშაობასთან შეხამებისათვის. ამავე პერიოდში ი. ბ. სტალინი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბოლშევიკური პარტიის ლენინური ეროვნული პროგრამის შემუშავებაში და, დაუნდობლად იბრძოდა რა მენშევიკებისა და სხვა პარტიების ნაციონალისტური თეორიებისა და ანტიმარქსისტული ნაციონალური პროგრამების წინააღმდეგ, უდიდეს მუშაობას ეწეოდა ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასისა და მშრომელი მასების აღზრდისათვის.

დაბრუნდა რა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ შორეული ტურუხანსკის გადასახლებიდან პეტროგრადში, ი. ბ. სტალინი ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით, ბოლშევიკური პარტიის სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად, აქტიურ მონაწილეობას იღებდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და განხორციელების საქმეში. 1917 წლის ოქტომბრის დღეებში იგი შედიოდა შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელობისათვის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ შექმნილი სამხედრო-რევოლუციური ცენტრის შემადგენლობაში, რომლის მუშაობას ვ. ი. ლენინი წარმართავდა.

კომუნისტურმა პარტიამ ვ. ი. ლენინის მეთაურობით მიიყვანა ჩვენი ქვეყანა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე, რომლის შედეგად



პირველად ისტორიაში შეიქმნა ახალი ტიპის სახელმწიფო — მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო. ი. ბ. სტალინი იყო ვ. ი. ლენინის ერთგული თანამებრძოლი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობისა და განმტკიცების საქმეში.

სამოქალაქო ომის მძიმე წლებში ი. ბ. სტალინმა, რომელიც პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პირადად ვ. ი. ლენინის დავალებით ომის რთულსა და ძნელ უბნებზე იგზავნებოდა, თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა უცხოელი ინტერვენტებისა და შინაური კონტრრევოლუციის გაერთიანებულ ძალებზე ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის გამარჯვებაში.

* * *

გაანადგურეს რა უცხოელი ინტერვენტები და თეთრგვარდიელთა ბანდები, ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის მეთაურობით გიგანტური შემოქმედებითი მუშაობა გააჩაღეს.

კომუნისტური პარტიის დიდმა ბელადმა ვ. ი. ლენინმა პარტია და საბჭოთა ხალხი შეაიარაღა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის გენიალური გეგმით, რომელიც ითვალისწინებდა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და ჩვენს ქვეყანაში კულტურული რევოლუციის განხორციელებას.

ამ გრანდიოზული პროგრამის შესრულებისათვის ტექნიკურ-ეკონომიურად ჩამორჩენილ ჩვენს ქვეყანაში, რომელიც კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მტრულ გარემოცვაში იმყოფებოდა, აუცილებელი იყო პარტიის შიგნით არსებულ ანტილენინურ დაჯგუფებათა იდეოლოგიური და ორგანიზაციული განადგურება, რადგან ისინი, წარმოადგენდნენ რა დამარცხებული ექსპლოატატორული კლასების შენიღბულ აგენტურას, გაafთრებით ილაშქრებდნენ პარტიის ლენინური გენერალური ხაზის წინააღმდეგ, ცდილობდნენ პარტია და ხალხი აეცდინათ ლენინური გზიდან და მიეღწიათ ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის რესტავრაციისათვის.

ი. ბ. სტალინი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხვა წევრებთან ერთად დაუნდობლად იბრძოდა ანტიპარტიული ჯგუფების წინააღმდეგ, პარტიის ლენინური გენერალური ხაზის დაცვისა და განხორციელებისათვის. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელსაც ლენინის გარდაცვალების შემდეგ სათავეში ჩაუდგა მისი ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი ი. ბ. სტალინი, გაანადგურა ტროცკისტები, ზინოვიეველები, ბუხარინელები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები და პარტიის, ხალხის სხვა უბოროტესი მტრები, დაიცვა მათთან ბრძოლაში ლენინიზმის იდეური სიწმინდე, შეადუღაბა პარტია დიად მონოლითურ ძალად და დარაზმა მის გარშემო ჩვენი ქვეყნის მშრომელები სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმის განხორციელებისათვის საბრძოლველად.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და კულტურული რევოლუციის გენიალური ლენინური პროგრამის შესრულების შედეგად ჩვენი ქვეყანა, რომელმაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უმოკლეს ისტორიულ ვადაში შეასრულა გიგანტური ნახტომი ჩამორჩენილობიდან პროგრესისაკენ, აგრარული ქვეყნიდან მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ გადაიქცა.

დიდ სამამულო ომში ფაშისტურ გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიაზე სსრ კავშირის მსოფლიო-ისტორიულმა გამარჯვებამ კიდევ უფრო აამაღლა ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტი.

განაზოგადა რა სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის უმდიდრესი პრაქტიკა და საერთაშორისო განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცდილება, ი. ბ. სტალინმა მთელ რიგ საკითხებში შემოქმედებითად განავითარა და ახალი თეორიული დებულებებით გაამდიდრა მარქსიზმ-ლენინიზმი.

ი. ბ. სტალინის მდიდარი თეორიული მემკვიდრეობა დღეს წარმოადგენს ბასრ იარაღს თანამედროვე რევიზიონიზმთან ბრძოლაში. თავის ნაშრომებში ი. ბ. სტალინმა ამხილა და დაასამარა მრავალი ანტილენინური, რევიზიონისტული დინება, რომელიც მიმართული იყო იქითკენ, რომ შეესუსტებინა პარტიის დიადი ერთიანობა, გაეთიშა მძლავრი საერთაშორისო მუშათა მოძრაობა.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის და სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადებულმა ბრძოლამ ი. ბ. სტალინს დიდი ავტორიტეტი მოუხვეჭა პარტიაში, ხალხში, მთელი მსოფლიოს მშრომელებში. მაგრამ [illegible] ი. ბ. სტალინის ავტორიტეტი, თანდათანობით და პირველ ხანებში შეუმჩნევლად, გადაიზარდა მისი პიროვნების კულტად.

ი. ბ. სტალინის პიროვნების კულტმა განსაკუთრებით ფართო გავრცელება ჰპოვა მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში და გამოიწვია მთელი რიგი შეცდომები პარტიულ და სახელმწიფო მუშაობაში, რაც პარტიას არ შეეძლო დაეფარა ხალხისათვის. ამიტომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიულმა XX ყრილობამ ლენინური პრინციპულობით გააკრიტიკა ი. ბ. სტალინის პიროვნების კულტთან დაკავშირებული შეცდომები და დასახა პიროვნების კულტის შედეგების დაძლევის ქმედითი ღონისძიებანი.

გააკრიტიკა რა პიროვნების კულტი და მისგან გამომდინარე შეცდომები, კომუნისტურმა პარტიამ, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის მეთაურობით სასტიკი პასუხი გასცა ყველა იმათ, ვინც ი. ბ. სტალინის პიროვნების კულტის წინააღმდეგ ბრძოლის ნიღაბით სინამდვილეში ეწევა მარქსიზმ-ლენინიზმის რევიზიას და ცდილობს გათიშოს და შეასუსტოს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა.

„აკრიტიკებდა რა სტალინის მოღვაწეობის არასწორ მხარეებს, — ამბობდა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი თავის მოხსენებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე 1957 წლის 6 ნოემბერს, — პარტია იბრძოდა და იბრძოლებს ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ცილს დასწამებს სტალინს, ვინც პიროვნების კულტის საბაბით მცდარად, დამახინჯებულად ხატავს ჩვენი პარტიის საქმიანობის მთელ ისტორიულ პერიოდს, როცა ცენტრალურ კომიტეტს სათავეში ედგა ი. ბ. სტალინი. როგორც ერთგული მარქსისტ-ლენინელი და მტკიცე რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ე რი, სტალინი ჯეროვან ადგილს დაიკავებს ისტორიაში. ჩვენს პარტიასა და საბჭოთა ხალხს ეხსომებათ სტალინი და ჯეროვან პატივს სცემენ მას“.

სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიებისა და აგრეთვე 64 ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის 1957 წლის ნოემბრის თათბირებმა ახალი ძალით ცხადყვეს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ძალთა მტკიცე ერთიანობა და შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრების საფუძველზე.

განუხრელად ხელმძღვანელობენ რა ამ თათბირებზე შემუშავებული და მიღებული საპროგრამო დოკუმენტებით, ყველა ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიები შეურიგებელ ბრძოლას ეწევიან რევიზიონიზმის წინააღმდეგ, რომელიც თანამედროვე პირობებში საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში მთავარ საფრთხეს წარმოადგენს.

პარტიამ და ხალხმა ერთსულოვნად დაგმო და გაანადგურა მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის, ბულგანინის, შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფი, რომელიც მოსწყდა ხალხს და ცდილობდა ჩაეშალა იმ კურსის განხორციელება, რომელიც შეიმუშავა პარტიის XX ყრილობამ საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხში.

თეზისები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ, რომლებშიც შეჯამებულია ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის სახელოვანი გამარჯვებათა შედეგები და დასახულია ქვეყნის შემდგომი განვითარების [illegible] დიდებული პერსპექტივები, უდიდესი ძალით ცხადყოფს მთელი მსოფლიოს წინაშე, რომ საბჭოთა ხალხმა, რომელიც შემორაზმულია თავისი კომუნისტური პარტიის გარშემო, ისეთ მწვერვალებს მიაღწია, ისეთი გრანდიოზული გარდაქმნები განახორციელა, რომლებიც შესაძლებლობას აძლევენ ჩვენს ქვეყანას ახლა შევიდეს თავისი განვითარების ახალ უმნიშვნელოვანეს პერიოდში — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

ახალი უდიდესი პატრიოტული აღმავლობა, რაც ჩვენი ქვეყნის მშრომელებში გამოიწვია ცენტრალური კომიტეტის ნოემბრისა და დეკემბრის პლენუმების ისტორიულმა დადგენილებებმა, ნათლად მოწმობს იმას, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის ერთგული ჩვენი სამშობლოს ხალხები, თავიანთი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში მეთაურობდა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი, — მტკიცედ და გაბედულად მიდიან კომუნიზმის გამარჯვების დიადი გზით.

## გ უ შ ი ნ გ ო რ შ ი

**გორი.** (საკ. კორ.). ყოველი წლის დეკემბრის შუა რიცხვებში განსაკუთრებული გამოცოცხლებაა ქართლის გულში — გორში. მშვიდად შრომობს და ბედნიერად ცხოვრობს ეს ძველი ქართული ქალაქი, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა დიდმა მარქსისტმა-ლენინელმა ი. ბ. სტალინმა.

გუშინდელი დღე ახალი საწარმოო გამარჯვებით აღნიშნა ქალაქის მეორე დიდი საწარმოს — საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა. მან შეასრულა კონსერვის დამზადების წლიური გეგმა.

მაგრამ ქალაქი მარტო გუშინდელი დღით როდი ამაყობს. კიდევ უფრო წარმტაცია მისი ხვალინდელი დღე, მისი პერსპექტივები. დამთავრდება ბამბეულის კომბინატის მეორე რიგი. 1959 წლიდან პირველ პროდუქციას გამოუშვებს ახალი საწარმო — ხელსაწყოების ქარხანა. მისი კორპუსების მშენებლობა დაჩქარებით მიმდინარეობს. ქალაქში შენდება კავშირგაბმულობის სახლი, კინოთეატრი, საჭიდაო დარბაზი, ფეიქართა დაბის კლუბი, საცხოვრებელი სახლები. ფეიქართა დაბაში საექსპლოატაციოდ გადაეცა 38-ბინიანი საცხოვრებელი სახლის პირველი ნაწილი, სადაც უკვე შესახლდა 20 ოჯახი.

გუშინ ბევრი მნახველი ჰყავდა ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმს. აქ მოვიდნენ ქალაქის საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, გორის რაიონის სოფლების მცხოვრებნი.

გორელ ფეიქართა ჯგუფმა შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერა: „ჩვენ, გორელი ფეიქრები, რომლებმაც პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად წლიური გეგმა 18 დეკემბრისათვის შევასრულეთ, ვიძლევით სიტყვას მომავალშიც პირნათლად და კეთილსინდისიერად ვემსახუროთ კომუნიზმის მშენებლობის საქმეს, ჩვენი პარტიის საქმეს, რომელმაც დასახა შვიდწლიანი გეგმა — კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული გეგმა. ამ ნათელი მიზნისათვის ჩვენი თავდადებული შრომა იქნება იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის საუკეთესო ხსოვნა“.

წელს ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი ინახულა ჩვენი დიადი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა 76 ათასმა კაცმა, აგრეთვე 1.120 უცხოელმა.

ამჟამად გაცხოველებული მუშაობაა სახლ-მუზეუმის ტერიტორიის კეთილმოსაწყობად. კეთდება დიდი პარკი.

გუშინ ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კლუბში გაიმართა ქ. გორისა და გორის რაიონის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა საზეიმო სხდომა, მიძღვნილი ი. ბ. სტალინის დაბადების 79 წლისთავისადმი.

... დაღამდა. ქალაქში ილიჩის ნათურები აინთო. გორის ძველთაძველ ციხეზე ბრწყინავს წარწერა ი. ბ. სტალინის სახელის უკვდავსაყოფად.

**მ. ხეთაგური.**

# სწავლაში, გარჯაში, შრომაში

სსრ კავშირის [illegible]
საბჭოს სე[illegible]



კარგად არის მოწყობილი საწარმოო იარაღებით სოხუმის № 10 საშუალო სკოლის მექანიკური სახელოსნო. აქ დადგმულია ორი სახარატო, ერთი სალარავი და სხვა დაზგები. მანქანათმცოდნეობის კაბინეტში არის ავტომობილის გაზ-151 სხვადასხვა ნაწილები. მოსწავლეებმა საკუთარი ხელით დაამზადეს ბევრი თვალსაჩინო ხელსაწყო ფიზიკური და ქიმიური ლაბორატორიებისათვის, შეაკეთეს სასკოლო ინვენტარი. ახლა მოსწავლეები აშენებენ სპორტულ დარბაზს. სურათზე: პრაქტიკული მეცადინეობა სოხუმის № 10 საშუალო სკოლის სადურგლო სახელოსნოში.

ფოტო ნ. ჯომიდავასი (საქდესის ფოტოქრონიკა).

## დაუსწრებელი სწავლების შესახებ

დოცენტი პ. გუჯაბიძე,
ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი.

სკკპ XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისები ჭეშმარიტად წარმოადგენს სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის გრანდიოზულ პროგრამას და ეხება ჩვენი მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროს შემდგომ გაუმჯობესებასა და ამაღლებას. ამიტომ არის, რომ მთელი საბჭოთა ხალხი, მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა აღფრთოვანებით იწონებს აღნიშნულ თეზისებს, რაც მათი განხორციელების გარკვეულ გარანტიას წარმოადგენს.

ჩვენთვის, უმაღლესი სასწავლებლების მუშაკებისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საშუალო და უმაღლესი სკოლების სისტემის გარდაქმნისა და შემდგომი განვითარების საკითხებს. ჩვენ ვგრძნობდით, რომ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში ახალგაზრდობის აღზრდის სისტემა გარკვეულ გარდაქმნას მოითხოვდა, მაგრამ კონკრეტულად, ნათლად არ გვქონდა წარმოდგენილი ამ გარდაქმნის გზები. ამ საკითხზე განათლების მუშაკთა შორის ურთიერთის საწინააღმდეგო აზრები არსებობდა. თეზისებში კი ნათლად და მკაფიოდ არის გადაწყვეტილი საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში მოზარდი თაობის აღზრდის სისტემის ყველა ძირითადი საკითხი. უმთავრესი ის არის, რომ ამიერიდან სწავლა სასარგებლო შრომას უერთდება, რაც წლების მანძილზე რჩებოდა ხარვეზად აღზრდის დღემდე არსებულ სისტემაში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სასარგებლო შრომის გარეშე სწავლა-აღზრდა ნაკლული, ცალმხრივი და არასრულყოფილია. კ. მარქსის გენიალური დებულება, რომ „შრომამ შექმნა ადამიანი“, ძალაში რჩება ყველგან და ყოველთვის.

როგორც თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვა გვიჩვენებს, საბჭოთა ადამიანები მხურვალედ უჭერენ მხარს პარტიისა და მთავრობის ბრძნულ ღონისძიებებს, რაც ამ ღონისძიებათა განხორციელების საწინდარია. ამასთან მშრომელები გამოთქვამენ თავიანთ აზრებს თეზისების ცალკეულ დებულებებთან დაკავშირებით, გამოთქვამენ სურვილებს, აყენებენ წინადადებებს. გვინდა შევეხოთ რამდენიმე საკითხს უმაღლესი სკოლის გარდაქმნასთან დაკავშირებით.

თეზისებში სავსებით სწორად არის მითითებული, რომ „ჩვენი უმაღლესი სკოლის განვითარებაში უნდა დავადგეთ უწინარეს ყოვლისა საღამოს და დაუსწრებელი განათლების გზას“. უნდა ითქვას, რომ საღამოს და დაუსწრებელი სწავლება გარდაქმნას მოითხოვს. ჩვენი აზრით დაუსწრებელი სწავლების გაუმჯობესების მიზნით უკეთესია შეიქმნას ცალკე დაუსწრებელი უნივერსიტეტი, რომელსაც გარდა უნივერსიტეტში არსებული ფაკულტეტებისა, დაემატება პოლიტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტები. თუ ამ ფაკულტეტების შექმნა რაიმე მიზეზის გამო შეუძლებელი გახდება, მაშინ შეიძლება შეიქმნას დაუსწრებელი პოლიტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები.

დასამალავი არაფერია, უმაღლესი სასწავლებლების დაუსწრებელი სექტორები და განყოფილებები ჯერ კიდევ ვერ დგანან სათანადო სიმაღლეზე. ისინი, თუ შეიძლება ასე ითქვას, უმაღლესი სასწავლებლების გერის მდგომარეობაში იმყოფებიან, ვერ სარგებლობენ უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელობის მხრივ ისეთივე ყურადღებით, როგორითაც დასწრებული ფაკულტეტები. საკმარისია ითქვას, რომ უნივერსიტეტის დაუსწრებელი სექტორი მოთავსებულია სრულიად შეუფერებელ შენობაში, ამასთან არც ერთი წამყვანი პროფესორი იქ არ კითხულობს ლექციებს. ლექტორთა შემადგენლობიდან დიდი ნაწილი შეთავსებით მუშაობს, რაც აგრეთვე თავის კვალს ასვამს ლექციების შედეგებს. ასეთივე მდგომარეობაა ალბათ სხვა დაუსწრებელ განყოფილებებზეც. ჩვენში აღარ არის პროფესორ-მასწავლებელთა კადრების ნაკლებობა. სავსებით შესაძლებელია დაუსწრებელი უმაღლესი სასწავლებლები დავაკომპლექტოთ მაღალკვალიფიციურ პროფესორ-მასწავლებელთა კადრებით, რომლებიც მთელ ძალღონეს მხოლოდ დაუსწრებელ სტუდენტთა აღზრდის საქმეს მოახმარენ. საჭიროა აგრეთვე მყარ ნიადაგზე დავაყენოთ სპეციფიკური მეთოდური საგამომცემლო მუშაობა. ყველაფერი ეს საგრძნობლად გააუმჯობესებს დაუსწრებელ სწავლებას და დააყენებს მას თანამედროვე მოთხოვნილებათა დონეზე.

ვითვალისწინებთ რა დაუსწრებელი სწავლების დღევანდელ მდგომარეობას, საჭიროდ მიგვაჩნია უმაღლესი განათლების სამინისტროსთან შეიქმნას დაუსწრებელი სწავლების სამმართველო.

## ფიქრები აღზრდაზე

სავალდებულო რვაწლიან სკოლაში, რომელიც შეიქმნება 7-წლიანი სკოლის ნაცვლად, სხვა უპირატესობასთან ერთად, სწავლება გაცილებით მაღალხარისხოვანი იქნება და მოსწავლეები პრაქტიკულადაც უკეთ იქნებიან მომზადებული. ამისათვის საჭიროა სწავლების სათანადო პირობების შექმნა. პირველ რიგში უნდა განხორციელდეს ერთცვლიან სწავლებაზე გადასვლა, ეს კი მოითხოვს ამჟამად არსებული სასკოლო ქსელის გაფართოებას. ამ მიმართულებით კი ფოთში დღემდე პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა, მაშინ როცა ჩვენი რესპუბლიკის რაიონების სკოლების უმრავლესობა საზოგადოებრივი და საწარმოო ორგანოების დახმარების შედეგად ერთ ცვლაზე გადავა და კარგი კაბინეტ-ლაბორატორიები და სასწავლო ხელსაწყოები ექნებათ. აქვე მინდა შევნიშნო, რომ ძალიან გაჭიანურდა ერთ-ერთი სკოლის მშენებლობა ფოთში. ორი წლის განმავლობაში მხოლოდ მისი საძირკვლის ჩაყრა მოახერხეს. აღნიშნული სკოლის მშენებლობის პროექტი უნდა გადაისინჯოს და მშენებლობა უნდა წარიმართოს ახალი მოთხოვნების მიხედვით.

პ. ბარამიძე,
დამსახურებული მასწავლებელი, ფოთის მეორე საშუალო სკოლის დირექტორი.

* * *

თეზისებში სამართლიანად არის ხაზგასმული ქალთა შრომის გათვალისწინების აუცილებლობა. ჩემი აზრით, ორივე ტიპის სკოლა-ინტერნატში გოგონები უნდა სწავლობდნენ მუსიკას, ჭრა-კერვას, კულინარიას, ბავშვთა მოვლას, ჰიგიენას და ზნეობისა და ეთიკის საკითხებს, ხოლო ვაჟები სადურგლო-სახელოსნო საქმეს, ხისა და ლითონთა ტექნოლოგიას, მანქანათმცოდნეობასა და ელექტროტექნიკას, მუსიკას და სხვ. ეს აუცილებელია იმიტომ, რომ ჩვენ უნდა შევუქმნათ ახალგაზრდობას პროფესიული და გონებრივი განვითარების ზნეობრივად და საზოგადოებრივად მიზანშეწონილი გემოვნება. ჩემი აზრით, უახლოეს ხანებში ეს შექმნიდა პირობებს ქალთა მიზანშეწონილი დასაქმებისას სახალხო მეურნეობის ისეთ დარგებში, როგორიც არის ვაჭრობა, საფეიქრო მრეწველობა, საზოგადოებრივი კვების დაწესებულებები და სხვ., სადაც ქალთა შრომა უფრო ესთეტიკური, ლამაზი და მიმზიდველია, ხოლო შრომა — მიზანშეწონილი.

გ. ჩხარტიშვილი,
ბათუმის მეოთხე ქართული საშუალო სკოლის მასწავლებელი.

## ერთი სკოლის მაგალითი

— მნიშვნელოვნად გაფართოვდეს საქალაქო და სასოფლო სკოლების ქსელი, რომლებიც იძლევიან საშუალო განათლებას წარმოებისაგან მოუწყვეტლივ, — პარტიის ამ სწორმა აზრმა, გამოთქმულმა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში, საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

თუ პრაქტიკით როდენ გამართლებულია ეს გზა, ნათლად ჩანს თუნდაც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მუშა ახალგაზრდობის დაუსწრებელი რესპუბლიკური სკოლის მაგალითით. ეს სკოლა სულ სამიოდე წელია არსებობს და სავსებით ამართლებს კიდევაც თავის დანიშნულებას. დიდია სწავლას მოწყურებული მუშა ახალგაზრდობის მისწრაფება ამ სკოლისაკენ. თუ პირველ სასწავლო წელს აქ სწავლობდა 500 კაცი, მიმდინარე სასწავლო წელს სკოლის 34 ჯგუფში 1202 მოსწავლე წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ეუფლება მეცნიერების საფუძვლებს. მომავალ წელს სკოლას კიდევ ორი ჯგუფი მოემატება მოსწავლეთა გარკვეული რაოდენობით.

სკოლაში (დირექტორი გ. გიორგაძე) ჩაბმული არიან რესპუბლიკის საწარმოთა და სოფლის მეურნეობის მუშაკები. აქ სათანადო პირობებია შექმნილი სწავლების მაღალ დონეზე დაყენებისათვის. არის სასწავლო კაბინეტები, ლაბორატორია, კარგად მუშაობენ მეთოდური კომისიები. სკოლამ მიმდინარე წელს გამოსცა განაკვეთები დაუსწრებელი საშუალო სკოლის მოსწავლეებისათვის. ეს განაკვეთი დიდ დახმარებას უწევს რაიონებში მცხოვრებ მოსწავლეებს. მუშაობას კარგადართმევს თავს რესპუბლიკური სკოლის ფილიალი, რომელიც კახეთის რაიონებში მცხოვრებ დაუსწრებელ მოსწავლეებს ემსახურება.

— კიდევ უფრო მჭიდრო კავშირი უნდა დავამყაროთ საწარმოებთან და კოლმეურნეობებთან, სადაც დაუსწრებელი მოსწავლეები ეწევიან შრომით საქმიანობას, — ამბობს საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი ნ. მიქელაძე. — საამაყოა, რომ ბევრი ჩვენი ყოფილი მოსწავლე წარმოებისგან მოუწყვეტლივ განაგრძობს სწავლას უმაღლეს სასწავლებელში. ასეთები არიან ი. ფრიდონაშვილი, ლ. ბარბაქაძე, ნ. სოლომკო და სხვ.

საუკეთესო შრომით წარმატებებს აღწევენ რესპუბლიკური სკოლის კურსდამთავრებულნი, ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზზე მომუშავე ადამიანები. სალმავლო დეპოს მოწინავე მემანქანე გ. ნანიტაშვილს მაღალი ოსტატობით დაჰყავს მძიმე წონის მატარებლები და გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს. წარმოებაში თავი გამოიჩინეს მეამწე ი. პოპოვმა, მემანქანის თანაშემწე ლ. მენაბდემ და სხვებმა. ყველა მათი შრომითი წარმატებანი განპირობებულია იმ საფუძვლიანი ცოდნითაც, რაც მათ რესპუბლიკურ დაუსწრებელ საშუალო სკოლაში შეიძინეს. აქ არიან ახლაც სწავლისა და შრომის წარჩინებულნი ვ. ჯორჯაძე, გ. ხეთაგუროვი, მ. ჯანიაშვილი, გ. ლომიძე და სხვები.

შრომასა და სწავლაში იწრთობა ჩვენი ახალგაზრდობა.

ლ. გამცემლიძე.

## დავეუფლოთ უცხო ენებს

ცხოვრებასთან სკოლის შემდგომი დაახლოება ერთხელ კიდევ აყენებს უცხო ენათა ღრმად და საფუძვლიანად შესწავლის საკითხს.

სამართლიანად წერდა დიდი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძე, რომ რამდენადაც მეტ ენას სწავლობს ადამიანი და ამდიდრებს თავის ლექსიკონს, იმდენად უფრო აფართოებს თავის აზროვნებას. ამიტომ სრულიად გაუმართლებელია ზოგიერთი ამხანაგის მოსაზრება, რომ ჩვენი რვაკლასიანი პოლიტექნიკური სკოლის პროგრამიდან ამოვიღოთ უცხო ენა. ცხოვრება მოითხოვს რვაწლიან პოლიტექნიკურ სკოლაში უცხო ენა იყოს სრულუფლებიანი დისციპლინა, რომელსაც გამოყოფილი ექნება საათების საჭირო რაოდენობა.

აქ საჭიროა კადრების საკითხზე შევჩერდეთ და რამდენიმე პრაქტიკული წინადადება წამოვაყენოთ. თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტებს საშუალება უნდა ჰქონდეთ უკვე მეორე-მესამე კურსიდან წავიდნენ პრაქტიკაზე სკოლებში, ქალაქად თუ სოფლად ექვსი-შვიდი თვით, ხოლო ქალაქისა და სოფლის მასწავლებლები კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით იმ დროის მანძილზე იმყოფებოდნენ ინსტიტუტში.

დღეს, როცა ჩვენს ქვეყანაში მრავალი სკოლა-ინტერნატი იქმნება, საჭიროა ინსტიტუტმა მოამზადოს უცხო ენის ღრმად მცოდნე პედაგოგები სპეციალურად ამ სკოლა-ინტერნატებისათვის. ამიტომ მიზანშეწონილი იქნება, თუ უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტს ერთდროულად რამდენიმე ენის დაუფლება კი არ მოუხდება (რაც ხშირად ცუდ შედეგს იძლევა), არამედ ისწავლის ერთენოვან ფაკულტეტზე მკვეთრი პედაგოგიური პროფილით.

აგრეთვე კარგი იქნება, თუ ზაფხულის პერიოდში ბავშვთა დასასვენებელ სახლებსა და პიონერულ ბანაკებში პიონერხელმძღვანელებად ან პედაგოგებად იმუშავებენ ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტებიც. ისინი ერთდროულად მიიღებენ პედაგოგიურ და სამეტყველო ენის პრაქტიკასაც და არც ბავშვებს დაავიწყებენ სწავლის დროს შეძენილ ამა თუ იმ უცხო ენის ლექსიკურ მარაგს.

ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა ხალხის იმ კულტურულ ღირებულებათა გაცნობა-შესწავლას, რომლებიც მათ საუკუნეების მანძილზე დაუგროვებიათ. უცხო ენების საფუძვლიანად დაუფლება დიდად შეუწყობს ხელს ჩვენს ახალგაზრდობას ამ კულტურულ ღირებულებათა შესწავლაში.

დოცენტი ი. გვარჯალაძე,
პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

## საწარმოო სტაჟით — უმაღლეს სასწავლებელში

თბილისის 77-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყე მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში. ხანგრძლივი და ბეჯითი შრომის შედეგად მივიღე მეშვიდე თანრიგი. მალე სამუშაოდ გადავედი მეტალურგიული ტექნიკუმის სტამბაში, ხოლო იქიდან პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტამბა-ლითოგრაფიაში. 1958 წლისათვის ჩემი მუშაობის სტაჟი უკვე ორ აბიტურიენტს ეყოფოდა, მაგრამ ჩემი მიზანი ერთი იყო — მოვხვედრილიყავი ისეთ ფაკულტეტზე, სადაც ასწავლიან ჩემს ლვიძლ საქმეს — პოლიგრაფიას. გამოცდები წარმატებით ჩავაბარე და ამჟამად კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტის პოლიგრაფიული განყოფილების პირველი კურსის სტუდენტი ვარ. ჩემს ბიოგრაფიაში არაფერია უჩვეულო, რადგან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში წარმოებიდან მოსული ასობით ახალგაზრდა სწავლობს. მაგრამ საქმე ის არის, რომ მრავალ მათგანს სწავლაში არაფრით არ დახმარებია პრაქტიკა, რომელიც მათ წარმოებაში გაიარეს. ჩემთვის კი, მათგან განსხვავებით, ბევრი საგანი, რომელიც გვეკითხება, ნაცნობი და გასაგებია. სტამბაში მუშაობის წყალობით, მაგალითად, „პოლიგრაფიული წარმოების ტექნოლოგიაში“, რომელიც ჩვენს ფაკულტეტზე წამყვან საგნად ითვლება, ჩემთვის ყველაფერი ნაცნობი და იდეალურ ასათვისებელია.

ბევრი ჩემი ამხანაგი, რომლებმაც ჩემთან ერთად დაამთავრეს საშუალო სკოლა, ეხლა მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტები არიან, მაგრამ მე სრულიადაც არ მწყდება გული ამ „ჩამორჩენის“ გამო. შრომა ჩემთვის პირველი დიდი სკოლა იყო, სადაც პრაქტიკულად შევისწავლე ჩემი ცხოვრების მთავარი საქმე, ინსტიტუტში კი ყოველგვარი პირობა მაქვს ამ ცოდნის გაღრმავებისა და განმტკიცებისათვის.

გავეცანი რა პარტიისა და მთავრობის ბრძნულ თეზისებს სახალხო განათლების გარდაქმნის შესახებ, მინდა ჩემი მოსაზრება გამოვთქვა უმაღლეს სასწავლებელში იმ ახალგაზრდების მიღების წესის გამო, რომლებსაც საწარმოო სტაჟი აქვთ. ვფიქრობ კარგი იქნება თუ ახალგაზრდა საწარმოო სტაჟით შევა იმ ფაკულტეტზე, რომელიც ყველაზე ახლო დგას მისი სამუშაოს ხასიათთან. ყოველ შემთხვევაში უპირატესობა გამოცდების დროს სწორედ ასეთ აბიტურიენტებს უნდა მიენიჭოთ. შეიძლება ამ საკითხისადმი უფრო მკაცრი მიდგომა იყოს საჭირო. ჩვენი აზრით სწორი არ არის, როცა ახალ-[illegible]

ა. ოთარაშვილი,
I კურსის სტუდენტი.

## მოზარდი თაობის აღზრდის უმნიშვნელოვანესი ფორმა

### ახალი სკოლა-ინტერნატის მუშაობის პირველი ნაბიჯები

დიდ ოთხსართულიან შენობაში, რომელსაც 90 ოთახი აქვს, მოთავსებულია ქუთაისის რაიონის ბროწეულას სკოლა-ინტერნატი. აქვეა მოსწავლეთა და თანამშრომელთა საცხოვრებელი სახლები. აქ სწავლობს 250 ბავშვი და ახალგაზრდობა, რომელთა სწავლების, აღზრდის, საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეს ემსახურება 60-მდე მუშაკი, მათ შორის უმაღლესი განათლების მქონე 32 აღმზრდელი და მასწავლებელი.

სკოლა-ინტერნატს სულ ერთი წლის ისტორია აქვს, მაგრამ ამ მოკლე ხანში აქ ნაყოფიერ შრომასთან სწავლების შეერთების პირველი დადებითი გამოცდილება შეიძინეს. ამას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ადგილობრივი პირობები, კერძოდ ის, რომ სკოლა-ინტერნატი სოფელ ზედა მესხეთის კოლმეურნეობა „25 ოქტომბრის“ ტერიტორიაზეა. მის ახლოს გაშლილია [illegible] გაშენებულია სარემონტო-ტექნიკური სადგური და მეფრინველეობის საინკუბატორო სადგური.

იყენებს რა ხელსაყრელ პირობებს, სკოლა-ინტერნატის კოლექტივი (დირექტორი მ. ინასარიძე) უნარიანად წარმართავს სწავლებასა და ბავშვთა შრომითს აღზრდას. აქ მოწყობილია სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოები, საცდელი მიწის ნაკვეთი. ამასთან სკოლა-ინტერნატს საკუთარი საწარმოო ბაზა — ოცი ჰექტარი ფართობის დამხმარე მეურნეობა აქვს. საგულისხმოა, რომ ამ მეურნეობაში მხოლოდ მოსწავლეები მუშაობენ და ამჟამად სკოლა-ინტერნატი თავის მოთხოვნილებას ძირითადად აქ მოყვანილი ბოსტნეულით იკმაყოფილებს.

უკვე ჩანს მოსწავლეთა შრომითი აღზრდის დადებითი შედეგები. მეოთხე-მერვე კლასების მოსწავლეები თვითონვე, დამლაგებელთა დაუხმარებლად, ასუფთავებენ საძინებელ და საკლასო ოთახებს, თვითმომსახურებაა შემოღებული სასადილოშიც. ათობით მოსწავლემ ჩინებულად შეისწავლა ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის შეკეთება.

ბავშვები ბაღჩეულ-ბოსტნეულის მოყვანასთან ერთად სწავლობენ ცხოველთა და ფრინველთა მოვლას. წელს ნორჩმა ნატურალისტებმა ორჯერ გამოკვებეს აბრეშუმის ჭია და სახელმწიფოს 100 კილოგრამზე მეტი აბრეშუმის პარკი ჩააბარეს. ამ დღეებში თვითეულმა მოსწავლემ დარგო და მოვლა-გახარებისათვის ჩაიბარა ორი-სამი ძირი მცენარე. ახლახან აქ ჩამოყალიბდა სკოლა-კოლმეურნეობა, რომლის თავმჯდომარედ უფროსი პიონერხელმძღვანელი ც. ლვინიანიძე აირჩიეს.

სკოლა-ინტერნატის აღმზრდელ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა მთელი კოლექტივი, მოსწავლეები უდიდესი ინტერესით განიხილავენ და სწავლობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მასალებს.

ამჟამად სკოლა-ინტერნატს მებაღჩეობა-მებოსტნეობის პროფილი აქვს. მომავალ წელს ერთიორად გადიდდება საწარმოო ბაზა — დამხმარე მეურნეობა 40 ჰექტარს მიაღწევს, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს სწავლების შეერთებას ნაყოფიერ შრომასთან. ამასთან სკოლა-ინტერნატის კოლექტივმა გაითვალისწინა რა სარემონტო-ტექნიკური სადგურის, როგორც მძლავრი საწარმოო ბაზის სიახლოვე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თეზისების განხილვისას წინადადება წამოაყენა არსებული პროფილის შენარჩუნებასთან ერთად მომავალი სასწავლო წლიდან მოეწყოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საწარმოო სწავლება.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში ნათქვამია, რომ მომავალ შვიდწლედში „ფართოდ განვითარდება სკოლა-ინტერნატები, როგორც უმნიშვნელოვანესი ფორმა მოზარდი თაობის აღზრდისა“. ბროწეულას სკოლა-ინტერნატის მუშაობის მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ ამ ახალი ტიპის სასწავლო-აღმზრდელობითს დაწესებულებას ყველაზე ხელსაყრელი პირობები ექმნება სწავლისა და ნაყოფიერი შრომის ნამდვილად უნარიანი შეხამებისათვის.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## შენიშვნები, წინადადებები

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში ახალ საამქროებსა და სამშენებლო ობიექტებზე 500-ზე მეტი ახალგაზრდა მუშა, რომლებსაც საშუალო განათლება აქვთ მიღებული. ზოგ მათგანს წარმოებაში მუშაობის 3-4 წლის სტაჟი აქვს. ახალგაზრდობის უმრავლესობას დიდი ხანია სურვილი აქვს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მიიღოს წარმოების პროფილის შესაფერი უმაღლესი ტექნიკური განათლება. ამიტომ აუცილებელია პირველ რიგში გაიხსნას თვით ფეროშენადნობთა ქარხნის მუშა ახალგაზრდებისათვის დაუსწრებელი სწავლის ფილიალი, რომლის ტექნიკურ-მატერიალური ბაზა (კაბინეტები, ბინა, ლაბორატორიები) ქარხანას აქვს. ლექტორთა დაკომპლექტება შესაძლებელია როგორც მოწვეული, ისე ადგილობრივი ტექნიკური ინტელიგენციის ძალებით.

ბ. დოლიძე,
ქ. ზესტაფონის მეოთხე საშუალო სკოლის მასწავლებელი.

* * *

ჩვენს ახალგაზრდობაში განსაკუთრებით დიდია მისწრაფება უმაღლესი ტექნიკური ცოდნის დაუფლებისადმი, მაგრამ ბევრი მათგანი საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ებმება წარმოებაში ან საკოლმეურნეო შრომაში. ამჟამად არსებული დაუსწრებელი სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკური ინსტიტუტების ქსელი ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს სწავლის მოსურნე ყველა ახალგაზრდის მოთხოვნას.

ამიტომ, ჩვენი აზრით, ტექნიკურ და სხვა პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესებში შეტანილ უნდა იქნას ზოგიერთი აუცილებელი ცვლილება, კერძოდ, საჭიროა 1959 წლიდან ერთიორად და მეტად გადიდდეს უმაღლესი ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების დაუსწრებელი და საღამოს სწავლების ფაკულტეტებზე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულების მისაღები კონტინგენტი.

ი. კაკაბაძე,
თბილისის 77-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი.

## მათი სანუკვარი ოცნება

რეპორტაჟი

ეს დღე ყველაზე უფრო შეიყვარეს ბავშვებმა. განა იმიტომ, რომ შაბათია და მომდევნო დღეს დასვენება ელით? არა. ამ დღეს ისინი მანქანებთან დგანან და წიგნების ნაცვლად ხელში საზეინკლო იარაღები უჭირავთ.

— ნამდვილი ოსტატები დადგებიან, ნამდვილი, — სახეგაბრწყინებული ამბობს საზეინკლო საამქროს უფროსი ინჟინერი მიხეილ ვაჭარიანი, — აბა ნახეთ როგორ თავისუფლად ამზადებენ კონვეიერის მექანიკურ ძრავას, — მუშის მიერ მომზადებულსაც კი არ ჩამოუვარდება ეს საკეტი!

ვინ არიან ეს გოგონები, ასე რომ შრომობენ და საქმიანად ფუსფუსებენ თბილისის მექანიკური ქარხნის საამქროებში? 89-ე საშუალო სკოლის VIII, IX, X კლასების მოსწავლეები.

89-ე სკოლა უკვე მესამე წელია საწარმოო სწავლების მეთოდით მუშაობს. მოსწავლეები სპეციალურად ერთ დღეს თბილისის მექანიკურ ქარხანაში გადიან საწარმოო სწავლებას, ფიზიკის, ქიმიის, მანქანათმცოდნეობის კაბინეტებში, სკოლის საზეინკლო და სადურგლო სახელოსნოებში იღრმავებენ და განიმტკიცებენ ცოდნას. ზაფხულობით არდადეგების პერიოდში დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები ერთ თვეს მექანიკურ ქარხანაში იმყოფებიან საწარმოო პრაქტიკაზე. იყო შემთხვევები, როცა ისინი შვებულებაში წასულ მუშებს ცვლიდნენ. სწავლასა და შრომაში წარჩინებულები მ. გელიაშვილი, მ. ყურაშვილი, ც. ისაკაძე, ლ. ბიკაშვილი და სხვები უკვე თავისუფლად ამზადებენ კარ-ფანჯრების საკეტებს, თუჯისა და ფოლადის ფილებს, მექანიკურ ხელსაწყოებს.

განა მარტო ქარხანაში შრომობენ ამ სკოლის მოსწავლეები ასე კარგად! ახალგაზრდა ზეინკლებს არც ნორჩი ნატურალისტები ჩამოუვარდებიან, თბილისის ნორჩ ნატურალისტთა სადგურში მათთვის გამოყოფილ საცდელ ნაკვეთს მზრუნველობით უვლიან. ამავე დროს თვით სკოლაში გაცხოველებული მუშაობაა ფიზიკის, ქიმიის მდიდარ კაბინეტებში. საზეინკლო და სადურგლო სახელოსნოებში მოსწავლეები ამზადებენ სკოლისათვის საჭირო ინვენტარს. ჭრა-კერვის წრის წევრები მონდომებით ეუფლებიან თავიანთ საქმეს. ხოლო სკოლის სასადილოში საქმიანად ფუსფუსებენ თეთრწინსაფრიანი პატარა დიასახლისები, შეფ-მზარეულთან ერთად ამზადებენ გემრიელ კერძებს. წითელყელსახვევიანი გოგონები და ბიჭუნები ერთმანეთს ეჯიბრებიან სასადილოს უკეთ მომსახურებაში.

89-ე საშუალო სკოლა გადასულია ერთ ცვლად სწავლებაზე. ამ სკოლაში (დირექტორი მ. მალლაკელიძე) შეიქმნა გახანგრძლივებული დღის ჯგუფი 25 მოსწავლისათვის. ეს ჯგუფი არსებობს იმ ბავშვთათვის, რომელთა მშობლებსაც გვიან უხდებათ სამუშაოდან შინ დაბრუნება.

შრომაშია ამ სკოლის მოსწავლეთა სიხარული და ბედნიერება. სულ მალე ბევრი მათგანი მიიღებს მე-4 თანრიგის ზეინკლის მოწმობას, შემდეგ კი ქარხნისა და სკოლის ორი მოწმობით გამოვლენ ცხოვრების დიდ გზაზე, კვლავ იშრომებენ და ისწავლიან...

მ. ინასარიძე.



სურათზე: 89-ე [illegible]

# მშობლიურ თბილისში



**მარადმწვანე ქოჩორა პალმას ზღვაური უყვარს, თუმცა არც თბილისის ჰაერს იწუნებს და შრიალებს ამაყად, თბილისის „ზღვიდან" მობერილ ნიავს ეთამაშება.**

**ამაყი პალმა**

## გაზაფხულის მზე...

**ზამთარი** ათასნაირია ქვეყნად... ქვას ქვაზე არ დატოვებს ზოგჯერ, მუხლებამდე თოვლს დადებს და მთის ოდენა ყინულებს ააცურებს მდინარეებზე. დღედაღამ ფხუკენ ქუჩებს, ამტვრევენ ჩამოკონწიალებულ ლოლუებს და გზებზე, ნაცარსა და ნახერხს ყრიან... მოხუცები უფრთხიან გარეთ სიარულს, აგიზგიზებულ ღუმელებთან სხედან და მზეზე ოცნებობენ. პატარებს თოკით ვერ დააბამ სახლში, თოვლში ყირამალა დგებიან, ციგებს აღმა-დაღმა დააქროლებენ და სრიალებენ. მეეზოვეები კი ნიჩბებით დასდევენ. „რას შვრებით, გზა მოილიპება და ხალხი დაეცემა" — ჩივიან ისინი.

მანქანებს თვლებზე ჯაჭვები აქვთ დახლართული თოვლთან „საბრძოლველად"... და ყველაფერი თეთრია ირგვლივ. ასეთი ზამთარიც იცის თბილისში. ადგები დილით, და ოთახში ნათელი დგას, თოვლისმიერი ცივი ნათელი.

მაგრამ წელს სულ სხვანაირი ზამთარია ჩვენში. „ზამთარიაო", ამბობს კალენდარი, თორემ, კაცმა რომ თქვას, რა ზამთარია... გაზაფხულივით სუნთქავს მიწა და ბდღვრიალა მზე ტყემლის კვირტებივით იტყუებს გარეთ შილიფად ჩაცმულ ხალხს.

სითბოთი და ღიმილით სავსე დეკემბერი თავს იწონებს. უხილავი ცეცხლფარეშივით დგას მზესთან და „ათბობს" ქვეყანას... ქუჩაში დადგმულ წყალშადრევნებს დორანი დაეცათ, დაეწათები და სვამ გაზაფხულის წყურვილით. არც ნაყინის შექმას უნდა დიდი „გულადობა". თბილი და ბეწვიანი პალტოები ზოგს ისევ კარადაში უკიდია. მძღოლებს ჩაწეული აქვთ წინა მინა და „სულს ითქვამენ". მიყუჩებულ ბაღებში სხედან ჯოხებზე დაყრდნობილი მოხუცები და ლაპარაკობენ:

— დეკემბერი კი არა, აპრილია.

— ზამთარიც ასეთი უნდა.

გოგორაში მონებივრე ჩვილს მზე „თვალს სჭრის". ჩვილი ხელებს ამოყოფს და მზისკენ იწვდის. ჯერ დედასა და მზეს იცნობს მხოლოდ და ყველაზე მეტად მათ ენდობა.

ხარაჩოებზე შემდგარი კალატოზები დაბუხულ ხელებს არ იფშვნეტენ და ოცნებასავით მაღლდება კედლები. „კალატოზივით არავის უყვარს მზიანი დღე", — ხუმრობენ ისინი. შორს კი ნამდვილი ზამთარივით მოჩანს მარადთოვლიანი კავკასიონი და რაღაცას ამაოდ იმუქრება...

ჯერ არც ხეში წყალი ჩამდგარა და არც ჩიორა ჩიტს გაუდგამს საძირკველი, მაგრამ მაინც გაზაფხულის სული მეფობს. კუდამოძუებული ზამთარი კი კვლავ თავის ყინულოვან ბუნაგში წევს და უპატრონოდ მიტოვებულ მის „ტახტზე" სითბო, სიხარული და ღიმილი ჩამომსხდარან...

ახალ წლამდე თითებზე ჩამოსათვლელი დღეებიღა დარჩა. ახალ წლის დილას კი, როგორც იტყვიან, მართლაც უხდება სპეტაკი, უმტვერო თოვლი. მეტი ეშხი და შნო აქვს.

იანვარმა ხან ახირები იცის... ავდგებით დილით, მაგიდაზე იდგება მორთული ჩიჩილაკი და ოთახში — ფანჯრებიდან შემოჭრილი ქათქათა თოვლისმიერი ნათელი. და საქართველოს უსიერ ტყეებში კვლავ მზეზე ოცნებებენ ცათამბჯენები მარადმწვანე ნაძვები, წინათ ცულისა და წალდის შიშით შეპყრობილნი...

დღეს კი მზით სავსე დეკემბერია.... და გაზაფხულის ნაბიჯებით მიდის.

**გ. გოგიაშვილი.**

* * *

## ბოტანიკურ ბაღში

ქალაქის საუცხოო ხედი გადაეშლება ადამიანს თვალწინ კომკავშირის ხეივნიდან. ლამაზად გამოიყურებიან ზამთრის მზის სხივებში მწყობრი კვარტალები და ქუჩები, რომლებიც შორს მსუბუქ ნისლში იმალებიან.

ზოგჯერ ჩრდილოეთით, განსაკუთრებით დღის მეორე ნახევარში, მკაფიოდ მოჩანს ლურჯად კავკასიონის მთავარი ქედის მთები ყაზბეგის უდიდებული მწვერვალით.

ხეივნის მეორე მხარეს, ლეღვთახევის ხეობაში ფართოდ გადაშლილა ბოტანიკური ბაღი თავისი საზამთრო შემკულობით.

სულ ცოტა ხნის წინათ მთელი მისი ტერიტორია აჭრელებული იყო მრავალი ფერის შემოდგომის ფოთლებით. ახლა ფოთოლმცვენმა ხეებმა და ბუჩქებმა მოიშორეს თავიანთი საშემოდგომო სამკაული, ხოლო ზოგიერთ მათგანს ჯერ კიდევ არ დასცვივნია ნაყოფი. აი ჩამწკრივებულა ველური ხურმის ხეები, დახუნძლული ტკბილი ნაყოფით. აქა-იქ წითლად ღვივის კუნელი. აგრეთვე კოწახური თავისი მჟავე ნაყოფის ხშირი, დაკიდებული მტევნებით. უხვადასხია თუთუბოს, ასკილს...

ფოთოლმცვენ მცენარეებთან მკვეთრ კონტრასტს წარმოადგენენ მარადმწვანე მცენარეები. თითქოს ზაფხულიაო, ისე გამოიყურება ხშირი თარგულები მარადმწვანე კორპის მუხისა წვრილი მბზინავი ფოთლებით. მხოლოდ წვრილი რკო არწმუნებს ადამიანს, რომ ეს მართლა მუხაა, რადგან გარეგნულად იგი სულაც არა ჰგავს ჩვენს მუხებს. მწვანედ ხასხასებს იაპონური ჟასმინი. მას უკვე დაბერვია საყვავილე კვირტები, რომლებიც ზოგჯერ დეკემბერში იშლება. ლაღად, როგორც თავის სამშობლოში, დგას ტანაყრილი ბამბუკი. ფართო მწვანე ხალიჩები მოუფარგავს სუროს.

მაგრამ განსაკუთრებით ლამაზია წიწვიანი ხეები. ფართოდ გაუშლიათ ტოტები ლიბანისა და ჰიმალაის უზარმაზარ კედრებს, აშოლტილა ვერცხლისფერი ნაძვი. აქვეა კავკასიური სოჭი, კვიპაროსები და ღვია. მრავლად არის ჩვენი კავკასიური და ეგზოტიკური ფიჭვები.

ბაღის მყუდროება და საზრდოს სიუხვე იზიდავს მრავალ ფრინველს, რომლებიც აქ ზამთრის გასატარებლად მოფრინდებიან ხოლმე მთების უფრო ცივი ტყეებიდან. მათ შორის წელს განსაკუთრებით ბევრია შაშვი. ისინი გამვლელს უიცრად წამოუფრინდებიან ხოლმე ჭახჭახითა და ჟღურტულით. აქ მათ ყველა პირობა აქვთ გამოზამთრებისათვის: წყარო, დაცვივნული ნაყოფი და თესლი, კენკრა, ცივი ქარებისაგან დაცული ფერდობები. უკანასკნელ დღეებში დიდ გუნდებად გამოჩნდნენ ბაღში მზეწვიები, ღაჟოები...

ბაღის დაშორებულ, მყუდრო კუთხეებში გამვლელს შეიძლება წამოუხტეს კურდღელი, რომელიც საზამთროდ გადადის ბაღში მეზობელი მინდვრებიდან. ხოლო ზოგჯერ დილის საათებში შეიძლება წააწყდეთ კაკაბსაც, რომელსაც კეკლუცად საცხოვრებელ ადგილად რომ ამოურჩევია ბოტანიკური ბაღი.

**ბ. გავრილენკო,**
**ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.**



**მყუდრო გზა**

**რა შეედრება ზამთრის მზიან დღეში ხეივნიან მყუდრო გზას. ირგვლივ ისეთი სიმშვიდეა, რომ ხეების სუნთქვაც კი ისმის.**

## ხელოვნება და ცხოვრება

### ოპერის თეატრი ქარხნის კლუბში

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, ამას წინათ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის წარმომადგენლები ეწვივნენ თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივს, რათა დაეზუსტებინათ, როგორ დაეხმარებიან ისინი კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრებს, ქარხნის კოლექტივს კულტურული დონის ამაღლებაში, სამშობლოს საკეთილდღეოდ გაჩაღებულ კომუნისტურ შრომაში.

თეატრის მუშაკებმა კონკრეტული ვალდებულებები აიღეს და უკვე გადადგეს ნაბიჯები მის შესასრულებლად. პლეხანოვის სახელობის კლუბში მოეწყო სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შეხვედრა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივთან.

გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა მ. ნაკაშიძემ, ნ. ხარაძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა თ. მუშკუდიანმა, კ. ლოლაძემ, გ. პატარაიამ; მსახიობებმა შ. მეძველიამ, გ. ტორონჯაძემ, თ. ზაალიშვილმა, ა. კაციშვილმა, ო. კუზნეცოვამ, მ. ამირანაშვილმა, ა. დვალმა, ვ. გუნაშვილმა; კონცერტმაისტერებმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ი. გორდონმა და ს. ქშონზერმა.

### რუსთაველის სახელობის თეატრი — კომუნისტურ შრომას

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მხარი დაუჭირა საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერთა პატრიოტულ თაოსნობას კომუნისტური შრომის ბრიგადებისადმი დახმარების შესახებ ცოდნის, კულტურის დონის ამაღლებაში.

თეატრის ხელმძღვანელები და წამყვანი მსახიობები ესტუმრნენ ქარხანა „ელექტროავტომატს". მათ საწარმოს მუშა-მოსამსახურეებს მოუთხრეს, თუ რა კონკრეტულ ღონისძიებებს ისახავს თეატრი ქარხნის კოლექტივის მხატვრული მომსახურების მხრივ.

თეატრის წარგზავნილებმა დაათვალიერეს ქარხნის საამქროები. ისინი გაეცნენ ზურაბ რუსიას კომუნისტური შრომის ბრიგადის წარმატებებს. ხელოვნების მუშაკებისათვის სასიხარულო იყო იმის შეტყობა, რომ ამ დღის ზაურ რუსიას კომუნისტური შრომის ბრიგადამ გეგმა 280 პროცენტით შეასრულა.

### არქეოლოგიური აღმოჩენები

**ჭიათურა.** (საქ. კორ.). მდინარე ყვირილის ხეობა და ჭიათურა-საჩხერის მიდამოები ქვის ხანის არქეოლოგიურ-ისტორიული ძეგლებით, რომ მდიდარია, ეს კარგა ხანია ცნობილია. მაგრამ აქ ყველაფერი შესწავლილი და მეცნიერულად გამოკვლეული ჯერჯერობით მაინც არ არის.

ამას წინათ აქ მუშაობდა საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიცია, რომელსაც ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, არქეოლოგი დ. თუშაბრამიშვილი ხელმძღვანელობდა.

სოფლებში ჭილოვანსა და სკინდორში აღმოჩენილ იქნა პალეოლითური და ნეოლითური ხანის ტრიად საინტერესო ძეგლები, ხოლო სოფელ სკინდორში — კაცნარსა და ბეხნარში — უფრო ადრეული ხანის იარაღები.

არქეოლოგმა დ. თუშაბრამიშვილმა ქორითელი მოსწავლეების დახმარებით დიდი მნიშვნელობის ძეგლები მიაკვლია მდინარე ჯრუჭულის ხეობაში ეგრეთწოდებულ „ხვედელიძეების კლდეში". აქ აღმოჩნდა: ნაცარი, ნახშირი, დიდ ცხოველთა დამტვრეული ძვლები, კაჟისა და რიყის ქვისაგან დამზადებული ტრიად საინტერესო წვეტანები, დანისებური იარაღები. ეს ნივთები სპეციალისტების აზრით ეკუთვნის ქვედა პალეოლითის (60-70 ათასი წლის წინა ხანის) ადამიანებს. ეს აღმოჩენა ჯერჯერობით ერთადერთია არა მარტო ყვირილის ხეობაში, არამედ დასავლეთ საქართველოშიც.

* * *

## ყოველი მხრიდან

### მიტინგი ნოვა გუტაში

**კრაკოვი,** 18 დეკემბერი. (საკდესის კორ. გ. კისელიოვი). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელიც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში იმყოფება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის ა. ი. მიქოიანის მეთაურობით, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისა და გერმანიის კომუნისტური პარტიის დელეგაციები დღეს ჩამოვიდნენ პოლონეთის დიდ სამრეწველო და კულტურულ ცენტრში — კრაკოვში.

სტუმრებს ახლდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გომულკა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ი. ცირანკევიჩი, ი. ლოგა-სოვინსკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი თანამშრომლები.

დილით დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს პოლონეთის ძველი კულტურული ცენტრის კრაკოვის ღირსშესანიშნაობანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ და სხვა პარტიულ დელეგაციათა წევრები შემდეგ ეწვივნენ პოლონეთის მეტალურგიის გიგანტს — ვ. ი. ლენინის სახელობის კომბინატს ნოვა გუტაში.

ნაგლინის ცივი დამუშავების საამქროში გაიმართა კომბინატის მუშათა მრავალათასიანი მიტინგი.

მიტინგზე მოკლე სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მძიმე მრეწველობის მინისტრმა კ. ქემაიტისმა.

მიტინგის მონაწილეებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის ა. ი. მიქოიანის გამოსვლა.

შემდეგ მიტინგზე გამოვიდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გომულკა.

მიტინგის შემდეგ პარტიათა დელეგაციების წევრებმა დაათვალიერეს პოლონეთის სოციალისტური ქალაქების პირმშო ნოვა გუტა.

### უცხოეთის ქრონიკა

◆ **დელი,** 19 დეკემბერი. როგორც პრესა იუწყება, გუშინ პაკისტანის ჯარებმა ინტენსიური სროლა აუტეხეს ინდოეთის ტერიტორიას პათჰარიის რაიონში (ასამის შტატი). პაკისტანის ჯარები ცეცხლს უშენენ აგრეთვე დასახლებულ პუნქტს ბჰოლაბეშს.

◆ **პნომ-პენი,** 19 დეკემბერი. უკანასკნელ ხანებში კამბოჯის პრესა იუწყება, რომ ტაილანდი სისტემატურად არღვევს კამბოჯის საზღვრებს. ნოემბრის დამლევს და დეკემბერში იყო შემთხვევები, რომ ტაილანდის სამხედრო მოსამსახურეებმა გადალახეს საზღვრები, სროლა აუტეხეს კამბოჯის ტერიტორიას, შეიჭრნენ კამბოჯის საჰაერო სივრცეში.

პრესა იუწყება, რომ გაიმართა კამბოჯის სამეფოს ეროვნული კრების სპეციალური სხდომა. სხდომამ მიიღო მიმართვა მეფისადმი, რომელშიც კრება აცხადებს პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ ტაილანდი პროვოკაციათა პოლიტიკას ახორციელებს კამბოჯის მიმართ.

◆ **დამასკო,** 19 დეკემბერი. აქ გამოქვეყნდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სირიის რაიონის ოფიციალური წარმომადგენლის განცხადება იმის შესახებ, რომ გრძელდება ისრაელის ჯარების კონცენტრაცია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სირიის რაიონთან საზღვარზე.

◆ **კაირო,** 18 დეკემბერი. გაზეთ „ალ-აჰრამის" კორესპონდენტი ღაზის სექტორიდან იუწყება, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ეგვიპტე-ისრაელის დაზავების კომისიაში კომისიის თავმჯდომარეს გადასცა საჩივარი იმასთან დაკავშირებით, რომ 17 დეკემბერს ისრაელის ორმა თვითმფრინავმა კვლავ დაარღვია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საჰაერო სივრცე.

### გასტროლებზე იაპონიაში

**ტოკიო,** 18 დეკემბერი. (საკდესი). თითქმის ორი კვირაა, რაც ტოკიოში მიმდინარეობს მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის მსახიობთა გასტროლები. ამ ხნის განმავლობაში ტოკიოელმა მაყურებლებმა ნახეს გორკის პიესა „ფსკერზე", ჩეხოვის პიესები „ალუბლის ბაღი" და „სამი და" და საბჭოთა დრამატურგ რახმანოვის „მოუსვენარი მოხუცებულობა".

ტოკიოს სცენაზე გამოსვლის წინ, თქვა მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის ხელმძღვანელმა სოლოდოვნიკოვმა, ჩვენი მსახიობები ღელავდნენ. იაპონია არის ქვეყანა, სადაც მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის ხელოვნებას არა თუ არ აკრიტიკებდნენ, არამედ, პირიქით, აღმერთებდნენ. ხოლო, როცა დიდი მოლოდინია, მისი გამართლება ძლიერ ძნელია და ძლიერ ადვილია მაყურებელს იმედის გაცრუება მოუტანო.

გასტროლების დამთავრებამდე ნახევარ თვეზე მეტი დარჩა, აღნიშნა სოლოდოვნიკოვმა, უკვე ახლა შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა მსახიობების გამოსვლებმა, რომლებმაც ტოკიოს სცენაზე აჩვენეს საბჭოთა ქვეყნის მართალი, ცხოველუნარიანი და მიზანსწრაფული დრამატული ხელოვნება, თეატრის მოყვარულთა ყველაზე გაბედულ მოლოდინს გადააჭარბეს.

„ვარსკვლავთა ანსამბლი" ასე მონათლეს აქ მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის დასი და ღირსეულად მიუზღეს როგორც სცენის ისეთი ვეტერანების ოსტატობას, როგორიც არიან გრიბოვი, ტარასოვა, იანშინი, ზუევა, ერშოვი, ანდროვსკაია, პოპოვი, ისე ნიჭიერი ახალგაზრდობის ოსტატობას.

აღნიშნავს რა თავის შთაბეჭდილებებს საბჭოთა მსახიობების გამოსვლის შესახებ, ცნობილი იაპონელი მსახიობი კავარა ამბობს: „მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის გასტროლები იაპონიაში ისტორიული მოვლენაა".

### აფრიკის ხალხთა თავისუფლებისათვის

**აკრა.** (საკდესის სპეც. კორ.). აფრიკის ხალხთა კონფერენციის თავმჯდომარემ ტომ მბოიამ პრეს-კონფერენციაზე აკრაში განაცხადა, რომ კონფერენციის მონაწილე ქვეყნების დელეგაციების მეთაურებმა აირჩიეს ხელმძღვანელი კომიტეტი მისი თავმჯდომარეობით.

კომიტეტის მორიგი სხდომა, რომელზეც არჩეულ უნდა იქნას კონფერენციის მუდმივი სამდივნოს გენერალური მდივანი, განზრახულია მოიწვიონ კაიროში.

უახლოეს ორ თვეში, განაცხადა მბოიამ, კომიტეტის ძირითადი ღონისძიებანი მოხმარდება სახსრების შეგროვებას „თავისუფლების ფონდში", რომელიც დაარსა აფრიკის ხალხთა კონფერენციამ. შეწირულება ამ ფონდში მიიღება აფრიკის სახელმწიფოთა მთავრობებისა და ორგანიზაციებისაგან, აგრეთვე სხვა კონტინენტთა ქვეყნების ორგანიზაციებისა და ცალკეული პირებისაგან, რომლებიც მხარს უჭერენ აფრიკის ხალხთა კონფერენციის მიზნებს.

### უთანხმოებანი ადენაუერის პარტიაში

**ბონი,** 19 დეკემბერი. (საკდესი). მიუნსტერის უნივერსიტეტის პუბლიცისტიკის ინსტიტუტის დირექტორმა ცნობილმა დასავლეთგერმანელმა საზოგადო მოღვაწემ პროფესორმა ჰაგემანმა ჟურნალში „ბლეტერ ფიურ დოიჩე უნდ ინტერნაციონალე პოლიტიკ" მოათავსა სტატია, რომელშიც წერს, რომ ადენაუერის პარტიაში — ქრისტიან დემოკრატთა კავშირში უთანხმოებაა საბჭოთა მთავრობის წინადადებებთან დაკავშირებით ბერლინის საკითხზე.

ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის მომენტიდან, წერს ჰაგემანი, ჯერ ფედერალური კანცლერის საგარეო პოლიტიკური კურსი საკუთარ წრეში ასე მკაცრად არ გაუკრიტიკებიათ.

ჰაგემანი იუწყება, რომ საზავო მოლაპარაკების მოთხოვნა, რომელიც წამოაყენა ბუნდესტაგის თავმჯდომარემ ჰერსტენმაიერმა ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ, სულ უფრო მეტ მომხრეს პოულობს ქრისტიან დემოკრატთა კავშირში. „უდავოა, — წერს ჰაგემანი, — რომ ბონში მღელვარებაა".

## სპორტის ამბები

### დათვებზე მონადირენი

**ჩვენი გაზეთის მკითხველები გვატყობინებენ დათვის მოკვლის რამდენიმე შემთხვევას.**

◆ **ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ხიდრიდან ლ. ხიჯაკაძე გვწერს:**

**კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის ახლოს, რომელიც სოფელს დაშორებულია 25 კილომეტრით, მწყემსებმა ჟ. ბერაძემ და უ. პაპავამ დათვის ნაკვალევი ნახეს. მწყემსებს თან ჰქონდათ თოფი და ნაჯახები. მალე დათვიც დაინახეს. პაპავამ მაშინვე თოფი ესროლა, მაგრამ დათვი მხოლოდ დაიჭრა და გაავთრებული ეცა მას. ამ დროს ბერაძემ ნაჯახი მოუქნია და თავგაპობილი დათვი დაეცა.**

◆ **ზაფხულში, გვატყობინებენ კ. მესხიძე და გ. გიგაშვილი ხაშურის რაიონიდან, დათვებმა დიდი ზიანი მიაყენეს სოფელ ქაშვეთის სიმინდის ყანებს, იტაცებდნენ საქონელს საზაფხულო საძოვრებზე. მაშინ მათი მოკვლა გაჭირდა. ამიტომ მონადირეებმა კოლმეურნე ა. ციცქიშვილმა და მასწავლებელმა კ. გოგალაძემ გადაწყვიტეს ახლა, როცა მთაში თოვლია, ტყეში წასვლა დათვზე სანადიროდ.**

**რამდენიმე საათის სიარულის შემდეგ მონადირეებმა მიაგნეს დათვის ბუნაგს. მხეცმა მათი ფეხის ხმა რომ გაიგონა, გამოვარდა ბუნაგიდან და გაქცევა დააპირა, მაგრამ თოფმა იგრიალა და თოვლი დათვის სისხლით შეიღება. დათვი თითქმის 12 ფუთს იწონიდა.**

**წახალისებული მონადირეები რამდენიმე დღის შემდეგ უფრო შორს წავიდნენ მთაში. კვლავ ნახეს დათვი — და მცირედი შებრძოლების შემდეგ მოკლეს იგი. ამრიგად, მათ ერთ კვირაში ორი დათვი მოკლეს.**

**მონადირეებმა დათვის ტყავები ბეწვეულის დამზადების კანტორას ჩააბარეს და ჯილდოები მიიღეს.**

### ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი

**ხარკოვი.** 20 დეკემბერი. (ტელეფონით). სსრ კავშირის ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ფინიშთან ბრძოლა შეუპოვრობით ხასიათდება. პირველ რიგში ეს იგრძნობა ლიდერთა პარტიებში, სადაც ყოველი შეხვედრის შედეგს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

გუშინ გაიმართა მე-19 ტური. მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონმა კ. ზვორიკინამ პირველი დამარცხება განიცადა, იგი განსაკუთრებული ყურადღებით და მონდომებით თამაშობდა ლ. მალინოვასთან. კ. ზვორიკინამ თავიდანვე ხელთ იგდო ინიციატივა, თანდათან მიაღწია პოზიციურ და მატერიალურ უპირატესობას და გათამაშების ცხრილში მეტად საჭირო ქულა ჩაიწერა.

კვლავ წარმატებით გამოდის ჩემპიონატის ლიდერი ლ. ვოლპერტი. მე-19 ტურში იგი თამაშობდა საერთაშორისო ოსტატის ი. გურფინკელის წინააღმდეგ. ეს პარტია ლ. ვოლპერტის უპირატესობით წარიმართა და მისი გამარჯვებით დამთავრდა.

ყურადღების ცენტრში იდგა ორი ქართველი მოჭადრაკის ნ. გაფრინდაშვილისა და მ. ტოგონიძის პარტია. შეხვედრა ნ. გაფრინდაშვილის გამარჯვებით დამთავრდა. წარმატებით თამაშობდა ა. ჩაიკოვსკაია ვ. ტიხომიროვას წინააღმდეგ და მორიგი გამარჯვება მოიპოვა. ე. კაკაბაძე — ო. იგნატიევასა და ლ. ნისენბოიმ — ლ. იაკირის პარტიებში მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

20 დეკემბრამდე გამართულ შეხვედრათა შედეგები ასეთია: ვ. ვოლპერტი 13 ქულა, ნ. გაფრინდაშვილი 12,5 ქულა, კ. ზვორიკინა 12,5 ქულა, ტ. ზატულოვსკაია 11 ქულა და 1 გადადებული პარტია, ვ. ბორისენკო 10 ქულა და 1 გადადებული პარტია, ა. კუშნირი 10 ქულა და 1 გადადებული პარტია, ე. ბიკოვა 9 ქულა და 2 გადადებული პარტია, ა. ჩაიკოვსკაია და ლ. ნისენბოიმი 9 ქულა.

დღეს გაიმართება საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელის-წინა მე-20 ტური.

### წყალბურთელთა ასპარეზობა

**მოსკოვი.** 20 დეკემბერი. (ტელეფონით). დედაქალაქის ზამთრის საცურაო აუზში გრძელდება „ა" კლასის წყალბურთელთა კოლექტივების შეჯიბრება ჩვენი ქვეყნის პირველობაზე.

გუშინ გაიმართა მორიგი შეხვედრები. საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონმა მოსკოვის „დინამომ" დაამარცხა ლენინგრადის საზღვაოსნო სასწავლებლის წყალბურთელები 2 : 1. თბილისის „დინამომ" მოუგო ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის „ბურევესტნიკს" 7 : 1, მოსკოვის „შრომითი რეზერვების" გუნდმა — ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტის წყალბურთელებს 7 : 5, ცსკ-მომ ლვოვის „დინამოს" 4 : 0, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა — კასპიის ზღვის წითელდროშოვანი ფლოტის (ბაქო) სპორტსმენთა კოლექტივს 4 : 2. მოსკოვის „ტორპედოსა" და კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდების მატჩის შედეგია 2 : 2.

დღეისათვის პირველობის გათამაშების ლიდერია მოსკოვის „დინამოს" გუნდი. შეჯიბრება გრძელდება.

## ლატარიის მოგებათა ტირაჟის წინ

ამ დღეებში რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში დაიწყება ფულისა და ნივთების მეორე ლატარიის მოგებათა ტირაჟი.

დიდი ინტერესი, რომელსაც მოგებათა ტირაჟისადმი მოსახლეობა იჩენს, სავსებით გასაგებია. 24-25 დეკემბერს ხომ 10 მილიონი მანეთის 200.000 მოგება გათამაშდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა კომისია საქართველოს ქალაქებისა და რაიონების საბჭოთა, პარტიული, საზოგადოებრივი და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან.

მოსახლეობას რომ მიეცეს საშუალება თვალყური ადევნოს მოგებათა ტირაჟის მსვლელობას, რეპორტაჟი ტირაჟიდან ტრანსლირებული იქნება რადიოთი და გადაეცემა ტელევიზიით, თეატრის შენობასთან დაიდგმება მიკროფონები, რომლებიც გადასცემენ ტირაჟის მთელ მსვლელობას 24-25 დეკემბერს.

ყველა ფულად მოგებას, აგრეთვე ფულს 500 მანეთამდე ღირებულების მოგებული ნივთების ნაცვლად გადაიხდის რესპუბლიკის ყველა შემნახველი სალარო.

პირველი თანრიგის შემნახველი სალაროები და რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ცენტრალური შემნახველი სალაროები გადაიხდიან 2.500 მანეთამდე ღირებულების, ხოლო ქალაქებში თბილისში, სოხუმში, ბათუმსა და სტალინირში 5.000 მანეთამდე ღირებულების მოგებას (ჩათვლით).

მოსახლეობისათვის მოხერხებული პირობების შექმნის მიზნით, მოგებულ ნივთებს მაღაზიები გასცემენ საქართველოს ყველა ქალაქსა და რაიონში. 50 მანეთამდე ღირებულების წვრილი მოგებული ნივთის მისაღებად ბილეთის მფლობელს შემნახველ სალაროში შესვლა არ დასჭირდება. ასეთ მოგებას უშუალოდ მაღაზიები გასცემენ.

პირველი ლატარიისაგან განსხვავებით ქალაქების თბილისის, ბათუმის, სოხუმისა და სტალინირის შემნახველი სალაროები მოგებას გასცემენ ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკის ლატარიის ბილეთებზეც.

**ა. შტეინბერგი,**
**ფულისა და ნივთების მეორე ლატარიის მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის მდივანი.**

## დღეს თბილისის თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — ექიმი აიბოლიტი (დღისით, მე-4 აბონ. მე-2 სპექტ.), ტოსკა (მე-10 აბონ. მე-3 სპექტ.), **რუსთაველის სახელობის** — ხალისიანი მეგობრები (დღისით), ახალგაზრდა მასწავლებელი (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — წინაპრების (დღისით), დაჭრილი არწივი (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — გულები უნდა იწვოდნენ (დღისით და საღამოს), **რკინიგზელთა სახლი** — საყვარელი დისშვილი (მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლი), **სომხური დრამის** — ნამუსი (დღისით და საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ნაცარქექია (აბონ. № 22, 2 ს.), შავი ბიჭი (აბონ. № 29, 7 ს.).



**ყინულის ლოლუები**

**ღამით ზამთარი მაინც თავისას არ იშლის — ზოგჯერ ყინულის ლოლუებად აქცევს ხოლმე წყლის წვეთებს და აუზებსაც ყინულს ჩააცვამს... დილით კი კვლავ ცხრათვალა მზე აილებს სადავეს ხელში და აცრემლდებიან ლოლუები. თოვლსდანატრებული პატარები კი სიხარულით შესძახებენ: ყინული, ყინული.**

**რედაქტორი**
**დ. მეძღლიშვილი.**

უე 07271

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14. 1